

# ԵՐԵՎԱՆ

№ 10

ՅՍԿՈՑՈ

1931



# Mkedari

ქ ა რ თ ვ ე ლ    ი უ ნ კ ე რ თ ა  
კ ა ვ უ ბ ი რ ი ს    ო რ გ ა ნ ო

Organe des Aspirants Géorgiens

პარიზი, ივნისი, 1931 წ.

№ 10

Paris, 1931

## წ ი თ ე ლ ი ა რ მ ი ა

5 .

როგორც წინა წინა წერილში აღვნიშნე, პოლონეთთან ომმა ბოლშევიკები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ არსებული სახით წითელი არმია გარეშე მტერთან საბრძოლველად უვარგისია. ხოლო გარეშე მტერთან ბრძოლა ბოლშევიკებმა წითელ არმიას თავიდან დაუსახეს მიზნად.

1918 წ. იანვრის 1-ს გამოცემულ „სოციალისტური არმიის ორგანიზაციის დებულების“ მესამე მუხლში ნათქვამია: —

წითელი არმია იბრძვის მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისათვის და უწყევს დახმარებას ყველა ქვეყანაში წარმოებულ რევოლუციებს -ო.

აქ ნათლად არის გარკვეული წითელი არმიის მიზანი და ამოცანა.

ბოლშევიკებმა შემდეგ ზემო-დასახელებულ დებულებაში მრავალი ცვლილება შეიტანეს: — მოხალისეთა ნებაყოფლობითი პრინციპი — სავალდებულო ბეგარად შესცვალეს, მეთაურთა არჩევნების პრინციპი — ზევიდან დანიშვნის, კოლევიალური პასუხისმგებლობის — ერთ-პიროვნების და სხვა. არ შეცვლილა დღემდის მხოლოდ წესდების მესამე მუხლი. პირიქით, საბჭოების, კომპარტიის და კომინტერნის ყრილობები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წითელი არმია არის საერთაშორისო პროლეტარიატის არმია, რომელმაც ლახვარი უნდა ჩასცეს კაპიტალისტურ ქვეყანას გულში.

აქედან ცხადია, რომ ბოლშევიკებისათვის წითელი არმიის თავის

სიმაღლეზე დაყენება, მთავარ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს. საკავშირო მთავრობის მიერ 1929 წელს საბჭოების მე-15 ყრილობისათვის წარმოდგენილ ოფიციალურ ანგარიშში სწერია:

„თავდაცვის საკითხები, მუშათა და გლეხთა არმიის ბრძოლის საშაღდისის გაძლიერება და მისი ტექნიკურად და პოლიტიკურად გამაგრება შეადგენენ მთავრობის მზრუნველობის განსაკუთრებითი საგანს“-ო.

რომ საკავშირო მთავრობის განცხადება სიმართლეა, ეს დღეს არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს. რომ საბჭოთა კავშირში დიდი სამხედრო მზადება სწარმოებს, ეს ჩვენთვის ცხადია. ამას მოწმობს რუსეთიდან ახლად ჩამოსული უცხოელი ინჟინერიც, რომელიც იქ დიდ ხანს მუშაობდა, როგორც სპეცი და რომელმაც ალბად კარგად იცის საბჭოთა კავშირის ვითარება. მისი აზრით, სამხედრო მოსაზრებანი საბჭოთა კავშირში წარმოდგენენ დღეს მთელი მუშაობის ცენტრს. ყველა ქარხანასთან და საწარმოო დაწესებულებასთან არსებობენ სამობილიზაციო ბიუროები, რომელთაც ევალებათ სამხედრო უწყების ყოველივე შეკვეთის დაუყონებლივი შესრულება და გეგმის ქონება, რომ საჭიროების დროს ქარხნებმა შესძლონ ომის საჭიროებათა სამუშაოზე საჩქაროდ გადასვლა. გარდა ამისა, ის დარწმუნებულია მასში, რომ საბჭოთა მთავრობას მომზადებული აქვს: სურსათის, ქიმიური, ლითონის, კაუჩუკის და სხვა ასეთი მრეწველობის საგნების დიდი მარაგი.

ერთი სიტყვით, ყველა და ყველაფერი მოწმობს, რომ ბოლშევიკები გულზე ხელდაკრეფილი არ სხედან და ძალზე მეტ მუშაობას ეწევიან სამხედრო ხაზით. ეხლა ვნახოთ, როგორია ეს მათი მუშაობა და რას შეიცავს იგი.

6 .

ბოლშევიკებს გადაწყვეტილი აქვთ წითელი არმია აიყვანონ თანამედროვე მილიტარისტული რეგულიარული არმიების სიმაღლეზე

და გაუსწრონ მათ. ამიტომ ისინი ძლიერ ბაძვენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, და წითელ არმიას, პატარა შესწორებით, აწყობენ ისე როგორც დანარჩენი სახელმწიფონი — რევულიარულ ჯარს. ამ შემთხვევაში მათი ლოზუნგი ისეთივეა, როგორც სახალხო მეურნეობის მშენებლობის, — დავეწიოთ და გავუსწრათ ევროპასა და ამერიკასო. რომ ეს განვახორციელოთ, ამბობენ ისინი, ამისათვის საჭიროა, ვისარგებლოთ კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილებით. ტექნიკით და სპეცებით და აგრეთვე საკუთარი გამოცდილებითო.

აი ამ სახის მუშაობა სწარმოებს დღეს ყოველ დარგში და მათ შორის სამხედრო უწყებაშიც. ეს მუშაობა ისეა ერთი მეორესთან გადამხულა და დაკავშირებული, რომ ძნელი გასარჩევია, სად იწყება და თავდება სახალხო მეურნეობის ინტერესები და სად — სამხედრო მილიტარიზმის. ამ მხრით სტალინის სამეფო დღეს დაახლოვებით იმავე სურათს წარმოადგენს. როგორც იყო იმპერატორი ვილჰელმის გერმანია მსოფლიო ომამდის. მართალია, საბჭოთა კავშირი ვერ შეედრება მაშინდელ გერმანიას ვერც მატერიალური სიმდიდრით, ვერც კულტურით, ვერც ცოდნა-გამოცდილებით და ვერც სახელმწიფო აპარატის მოწყობილებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მილიტარისტული ალტყინების მხრით, მსგავსება მათ შორის დიდია. ისე, როგორც იმპერატორი ვილჰელმი ფიქრობდა დოიტშური ერის ჰეგემონიის მსოფლიოში იარაღის საშუალებით დამყარებას და ამ იდეის გარშემო დღე და ღამე მუშაობდა, ასევე ფიქრობს კომუნისტი დიქტატორი სტალინი მოსკოური კომუნისმის ხიშტის საშუალებით მსოფლიოში განმტკიცებას.

მართალია, ლენინსა და ტროცკის ამ მხრით ბედმა არ გაუღიმა. ტროცკი ვერ ვახდა ყველა ქვეყნების წითელი არმიის სარდალი და ლენინის საიდუმლო ხელშეკრულება კარლ ლიბკნეხტთან, რომ გერმანიის წითელი არმია ტროცკის უნდა დამორჩილებოდა, ოცნებად დარჩა, ვინაიდან ვარშავასთან ბრძოლამ და გერმანიისა და ავსტრიის სოც. დემოკ. პარტიების ორგანიზაციულად ბოლშევიკების წინააღმდეგ გა-

ლაშქრებამ, კრემლის დიქტატორებს „კოვზი ნაცარში ჩაუგდო“; შიუხედავთ ამისა. სტალინი მაინც ფიქრობს, რომ ის, რაც ლენინმა და ტროცკიმ ვერ შესძლო, იგი შესძლებს და ამ მიზნით წითელ არმიას შმაგური ენერგიით ამზადებს.

ბოლშევიკებმა წითელი არმიის დარაზმვის საქმეში ილუზიებს თავისი ბატონობის პირველი ხანიდანვე თავი გაანებეს, უკუ აგდეს დროებითი მთავრობის დროს მათ მიერ ჯარში გადასროლილი დემაგოგიური ლოზუნგები და რეალურად მიუდგენ საკითხს. ბოლშევიკები ამ მხრით ჯერ კიდევ გერმანელების ჯარების შემოტევამ და ბრესტ-ლიტოვსკში გამართულმა საზავო მოლაპარაკებამ გამოაფხიზლა. გერმანელმა გენერლებმა ბოლშევიკების დელეგაცია მასხრად აიღეს და მუხლზე დაჩოქება მოსთხოვეს. ლენინმა ამის გამო ისტერიულად წამოიძახა: —

„ომი ქადაგებაზე და ათი ათას მსჯელობაზე უფრო ძლიერია“-ო.

აქედან დასკვნა — ვისაც ომი უნდა, მას ჯარიც უნდა ჰყავდეს თავისი ატრიბუტებით. მართალია, ბოლშევიკებს მსოფლიო ომის წარმოება აღარ უნდოდათ და არც შეეძლოთ, მაგრამ სამაგიეროდ ისინი სამოქალაქო ომს ქადაგებდნენ და აწარმოებდნენ. გარდა ამისა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შეკვრით, მათ ომი თავიდან ვერ აიშორეს და ანტანტამ, ამა თუ იმ სახით, ბოლშევიკებისა და გერმანელების წინააღმდეგ თვით რუსეთში შექმნა ფრონტი.

უშეველია, ყოველივე ამან ბოლშევიკებს შორის იმ ხანებში დაბადა რეგულიარული ჯარის შექმნის იდეა. ტროცკიმ ამ განწყობილებით მოხერხებულად ისარგებლა. 1918 წ. აპრილის 23-ს გამოსცა დეკრეტი, რომლითაც აკრძალა ჯარისკაცთა მიერ მეთაურების (ოფიცრების) არჩევნები და შემოიღო მათი ზევიდან დანიშვნა. მართალია, ამავე დროს მან დასტოვა სამხედრო კომისრების ინსტიტუტი, მაგრამ მისი ფუნქციები ძლიერ შეზღუდა და მეთაურებს მისცა სრული დამოუკიდებლობა სამხედრო ოპერაციების დარგში. როგორც ვიცით, უკანას-

კნელად სახალხო კომისარმა ეროვნული კომისიების ფუნქციები კიდევ უფრო შეზღუდა.

პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვა. იმავე წლის ივნისის 12-ს გამოსცეს დეკრეტი და ჯარში გაიწვიეს 21-25 წლამდის სამხედრო ბეგარის ყველა ვალდებული. ამან ბოლშევიკებს საშვალება მისცა მაშინ წითელი არმიის რიცხვი ასი ათასიდან 790 ათასამდე აეყვანათ. ამ რიგად მოხალისეთა პრინციპზე აგებული წითელი არმია ფაქტიურად რეგულარიული ჯარი გახდა.

შემდეგ ეს დეკრეტი კანონად იქცა და 1925 წ. სექტ. 18-ს გამოიცა „სავალდებულო სამხედრო სამსახურის“ კანონი, რომელიც დღემდის მოქმედებს. ამ კანონის ძალით წითელ არმიაში დაშვებული არ არიან „არა მშრომელი ელემენტები“, — მათ სხვა სახით ახდევინებენ სამხედრო ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, სამხედრო სამობილიზაციო კონტინგენტი მაინც დიდია, ყოველ შემთხვევაში, თუ მეტი არა, არა ნაკლები, ვინემ მეფის დროს იყო. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბოლშევიკებმა სამხედრო ბეგარა დაადგეს იმ „ინოროდსებსაც“, რომლებიც მეფის მთავრობას ჯარისკაცს არ აძლევდენ.

ამრიგად, ბოლშევიკებს ცოცხალი მასალა საჭიროზე მეტიც აღმოაჩნდათ. ამ მხრით ისინი ნაკლებობას არ განიცდიდენ და არ განიცდიან. მათ შეუძლიათ, მეტი თუ არა, 10 მილიონი კაცი მაინც გაიწვიონ ჯარში. მაგრამ ომის საწარმოებლად მარტო რიცხვი საკმარისი არ არის. ეს ჭეშმარიტება მეფის არმიის ბედმაც ნათელჰყო. გარდა ცოცხალი ხალხისა, საჭიროა აგრეთვე ამათი მხედრული დარაზმვა და თანამედროვე ტექნიკით ყოველი მხრით მომზადება, როგორც თვით ჯარის, ისე მთელი სახელმწიფოსი.

ეს ანბანური ჭეშმარიტება დღეს ბოლშევიკებში დავას არ იწვევს. მაგრამ ასე არ იყო რევოლუციის პირველ ხანებში. ბევრი გამოჩენილი კომუნისტი სამხედრო მეცნიერებას უარჰყოფდა. ტროცკი მათ სარკაზმული ენით დასცინოდა და ბოლოს ლენინის დახმარებით მათ სძლია.

მან წითელ არმიაში მიიწვია მეფის ჯარის ყოფილი ოფიცრები, რომელთა რიცხვი, როგორც ეხლა ირკვევა, 20 ათასს აღემატებოდა. ტროცკიმ, ზოგიერთ ბოლშევიკების პროტესტის მიუხედავად, მათ საშუალება მისცა ემუშავათ წითელ არმიაში. ერთ დროს (1923 წ.) წითელი კავალერიის ინსპექტორად ცნობილი გენერალი ბრუსილოვიც კი დანიშნეს. სპეციალისტების მუშაობამ უეჭველად ნაყოფი გამოიღო.

ამას გარდა, 1918 წლის დამლევს მოსკოვში გახსნეს გენერალური შტაბის წითელი აკადემია, რომელსაც მაშინ მიზნად დაუსახეს — მოკლე დროში მაქსიმუმში სასარგებლო ცოდნის მიცემა. სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ, მეცადინეობა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენეს.

ამგვარად, წითელი არმიის რეგულიარული ჯარის პრინციპების თანახმად დარაზმვა დაიწყო ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს.

## 7 .

წითელი არმიის საფუძვლიანი რეორგანიზაცია კი იწყება 1924-1925 წლებიდან. ამ დროიდან საბოლოოდ ყალიბდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალის ორი სისტემა: — რეგულიარული-კადრული და ტერიტორიალურ-მილიციური. ორივეში სამსახური სავალდებულო სამხედრო ბეგარის წესად სწარმოებს. რეგულიარულ ჯარში სამხედრო სამსახურის ვადა უდრის ორ წელს, ტერ.-ნაწილებში — რვა თვეს.

ასეთი შერეული რეგულიარულ-მილიციური სისტემა ბოლშევიკებს საშუალებას აძლევს დაიცვან ხარჯების ეკონომია და ამავე დროს მცხოვრებთა დიდ უმეტესობას მისცენ სამხედრო ცოდნის ის მინიმუმი, რომელიც ყოველი მხედარისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს..

ამ სამხედრო სავალდებულო ორგანიზაციების გარდა, არსებობენ „თავისუფალ“ მოხალისეთა ორგანიზაციები, სადაც სამხედრო გაწვრთნას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სამხედრო ვარჯიშობა სწარმოებს

სასწავლებლებში, ავიო-ქიმიის ორგანიზაციაში და კომკავშირში. ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ ბოლშევიკებს.

ყველაზედ მეტ უნარს ამ მხრით იჩენს კომკავშირი. აი როგორი ვალდებულება დააკისრა ჯერ საბჭოთა კავშირისა, და მერე მთელი ქვეყნის კომუნისტურ ახალგაზრდობას კომკავშირის გენერალურმა მდივანმა კოსარევმა მის მიერ კომკავშირის მე-9 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში: —

„ახლოვდება მსოფლიო კაპიტალიზმთან გადაწყვეტი ბრძოლის დრო. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. რომ ყოველთვის შეგვეძლოს თავდასხმის მოგერება. ჩვენ პირველ და მთავარ ამოცანას შეადგენს — საყოველთაო სამხედრო სწავლება. ყოველო კომკავშირელო, ყოველო ახალგაზრდა მუშავ-ყოველო ახალგაზრდა გლეხო, ივარჯიშე, ისწავლე მტრის დამარცხება აშკარა შეტაკებაში, ისწავლე ტყვისმფრქვევთა და თოფის ხმარება! გახსოვდეთ, რომ ბრძოლა აუცილებელია და მასში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ“ (გაზ. „კომ. პრავდა“, ნომ. 26, 1931 წ.).

ასეთი მებრძოლი მილიტარისტული სულით აღენათვენ ბოლშევიკები ახალგაზრდობას და სამი მილიონიანი კომკავშირელთა ორგანიზაცია მუდამ მზად ჰყავთ ბრძოლისათვის. ისინი ყოველ დღეს აგონებენ მათ თავის ვალდებულებას, რომელიც მოხდენილად და მკაფიოდ არის გამოხატული კომკავშირელების ერთმანეთისადმი მისაღმებაში: —

„იყავი მზად!“... პასუხი: — „ყოველთვის მზად ვარ!“

აქედან ცხადია, რომ ომის გამოცხადების დროს, ბოლშევიკებს არ მოუხდებათ სამხედრო გაუწვრთნელი ჯარისკაცების ომში გაყვანა, როგორც ეს მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობას მოულოდნელად დაატყდა თავზე, რომელიც ორ კვირაში ამზადებდა ჯარისკაცებსა და ორ თვეში — ოფიცრებს. ბოლშევიკებს მხედრულად გაწვრთნილი ხალხი საკმაოდ ეყოლებათ. სულ სხვა კითხვა არის, რამდენად შესძლებენ ბოლშევიკები მათ მოვლა-პატრონობას, სამხედრო კაზმულობით ყოველ მხრით დაკმაყოფილებას და რამდენად გამოიჩენს ეს ჯარი ბრძოლის

სურვილსა და უნარს. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, რაზედაც ჩვენი მოდ გვექნება ლაპარაკი.

8 .

თუ რამდენად აკმაყოფილებენ წითელი არმიის რეგულიარული ნაწილები თანამედროვე ჯარის სამხედრო გაწვრთნასა და ტექნიკას. ეს კითხვა სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს და ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ მას ჩვენი სამხედრო სპეციალისტები გააშუქებდნენ. მე კი მას ზოგადათ შევეხები.

ბოლშევიკებს ყველაზე დიდი მიღწევები წითელი არმიის შექმნაში აქვთ. ამას მტერიც და მოყვარეც აღიარებს. რასაკვირველია, შედარებით ეს უფრო ადვილი საქმეა, ვინემ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა და ჩამორჩენილი რუსეთის ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ, ვინაიდან თანამედროვე შეიარაღებული ძალის სიძლიერე და წონა დიდათ, არის ერის კულტურისა და სახალხო მეურნეობის ღონესთან დაკავშირებული, ამიტომ ბოლშევიკების მიღწევები წითელი არმიის ხაზითაც ძლიერ პირობითია და მასთან, შეზღუდული. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკები წლებზე ფეხს იდგამენ და ცდილობენ ობიექტური პირობები გადალახონ და წითელი არმია აიყვანონ თანამედროვე შეიარაღებული ძალების სიმალეზე

რეგულიარული ნაწილების შექმნის დროს ბოლშევიკებმა უწინარეს ყოვლისა ისარგებლეს მეფის ყოფილი ჯარის ხელმძღვანელების ცოდნითა და გამოცდილებით და ძველი ჯარის წყობიდან ბევრი რამ გადმოიღეს და წითელ არმიას დაუდევს საფუძვლად. ამას დაუმატეს სამოქალაქო ომის დროს მიღებული გამოცდილებანი და დაკვირებანი. რევოლუციის მიერ გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური ღრმა ცვლილებანი მოითხოვდნენ შეიარაღებული ძალის ორგანიზაციის ახალ პირობებთან შეგუება-შეთანხმებას.

რუსეთის რევოლუციამ, ისე როგორც საფრანგეთის დიდმა რე-

ვოლუტამ ცხოვრების წინა რიგებში დააყენა ახალი ფენები, რომლებიც მეფის დროს მართვა-გამგეობის ობიექტი იყვნენ და არ სუბიექტი. ისინი სახელმწიფოს ახალ აპარატში და მათ შორის, ჯარის ორგანიზაციაშიც, შეიჭრენ. მართალია, ამათ არა აქვთ ძველი ოფიცრების სამხედრო ცოდნა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი გამსჭვალული არიან ენტუზიაზმით. შეიარაღებული არიან სამოქალაქო ომში მიღებული გამოცდილებით და აქვთ ნდობა, როგორც ხელისუფლების, ისე ჯარისკაცის.

მაგრამ ეს შინაური ძალა საკმარისი არ აღმოჩნდა ჯარის დასარაზმავაი. მსოფლიო ომმა ბევრი ცვლილებანი შეიტანა სამხედრო მეცნიერებაში და ტექნიკაში. მსოფლიო ომის წინ სამხედრო მეცნიერება, ტაქტიკა და ტექნიკა თითქმის ყველასათვის მისაწდომი და გასაგები იყო. ყველა სახელმწიფოს სამხედრო ხელმძღვანელმა იცოდა დაახლოვებით როგორ იწარმოებდა ომი და ვის როგორი მომზადება ჰქონდა. მსოფლიო ომის შემდეგ იწყება სამხედრო ტაქტიკისა და ტექნიკის გადაფასება, მეცნიერების მილიტარიზაცია და ახალი აღმოჩენანი, რომლებსაც ყოველი სახელმწიფო დიდ საიდუმლოებაში ინახავს. ამიტომ სამხედრო საერთო აქსიომები და ჭეშმარიტებანი დღეს უფრო მცირეა, ვინემ წინად. მომავალი ომის სამხედრო ტაქტიკა და ტექნიკა დიდი ბურჟუაზიის მოცული და არავის არ შეუძლია გადაჭრით სთქვას, როგორ სახეს მიიღებს მომავალი ომი. იგი უელსის ფანტაზიასაც არ შეუძლია დახატოს.

რუსეთი ამ მხრით ყოველთვის საჭიროებდა ევროპიელ მასწავლებელთ და ვარიანებს. ამ გზას ვერ ასცდა წითელი არმიაც. ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ პერიოდში ლენინმა ურჩია თავის მიმდევრებს — ისწავლონ ბრძოლა ნემცებისგანო. მასწავლებლის ამ ანდერძს ბოლშევიკები ბეჯითად ასრულებენ. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს დღეს ის მჭიდრო კავშირი; რომელიც წითელ არმიასა და გერმანიის სამხედრო წრეებს შორის არსებობს. გერმანიისა და ავსტრიის ჯარების

ყოფილი ოფიცრები, ავიატორები, ტექნიკები, ინჟინრები, ქიმიკოსები და სხვა სპეციალისტები საბჭოთა კავშირში ათასობით მუშაობენ. მათი მუშაობა სანახევროდ საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ ისეთი დიდი ფაქტის დამალვა მაინც შეუძლებელი გახდა. იგი ამხილა თვით გერმანიის სოც.დემოკრატიამ.

აი ის სამი მთავარი ელემენტი — ძველი ოფიცრობა, რევოლუციის საშოდან წარმოშობილი ახალი მეთაურები და ნემეცი სპეციალისტები, რომლებიც რაზმავენ ბოლშევიკების სამხედრო ძალას, მეთაურობენ წითელ არმიას და მუშაობენ მომავალი ომის გეგმაზე. უეჭველია ამ მუშაობაში ყველაზე დიდ როლს თამაშობენ გერმანელები. მათი გავლენა წითელი არმიის ორგანიზაციაზე და სამხედრო გეგმაზე უფრო დიდია. ვინემ ჩვენ გვგონია და ვინემ საერთოდ ჰქონდათ უცხოელებ ს მეფის ჯარზე. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მთავარ ინსტრუქტორების როლს წითელ არმიაში გერმანელები ასრულებენ და მოსკოვში თქვენ შეხვდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათო.

მეფის ყოფილი ოფიცრების როლი ეხლა უფრო პატარა არის, ვინემ ამ 4-5 წლის წინად იყო, იგი წითელი არმიიდან თანდათან იცვლება კომკავშირის წრიდან გამოსული ახალი მეთაურებით. უკანასკნელი ცნობით, 1931 წელს წითელი არმიის ორგანიზაციული ძალა შესდგებოდა 258 ათას პარტიელებისაგან, ხოლო დანარჩენი უმნიშვნელო რიცხვი — არა კომუნისტებისაგან. 562 ათასიან პარტიელებისგან რეგულიარულ ჯარისათვის ეს თვალსაჩინო და საკმაო აკტივია. მართალია, კომპარტიაში შევიდენ ზოგიერთი ძველი ოფიცრებიც, მაგრამ მათი რიცხვი სამ-ხუთ პროცენტს არ აღემატება. ძველი ოფიცრები წითელ არმიაში უფრო ხელქვეითის როლს ასრულებენ, ვინემ ხელმძღვანელის. გარდა ამისა, ისინი მუდამ კონტროლის ქვეშ იმყოფებიან და შიშს განიცდიან.

რევოლუციის მიერ წარმოშობილი ელემენტები, ე. წ. „დაწინაურებულინი“ წითელი არმიის მთავარ საძირკველს წარმოადგენენ. ისინი

არიან არმიის ხერხემალი და ცემენტი. მათ ხელისუფლების ნდობაც შე-  
ტი აქვთ და პირადი პათოსიც. წითელი არმიის ყოფილი პოლიტ.-ხელ-  
მძღვანელის და ეხლა სახალხო განათლების კომისარის ბუზნოვის ცნო-  
ბით, პარტიელი და კომკავშირელი მეთაურები 1925 წელს შემდეგნა-  
ირად იყვნენ წარმოდგენილი არმიაში. ათასეულის (ვზვედ) უფროსები  
— 27 პროც.; გუნდის — 36; პოლკის — 41; დივიზიის — 45; კორპუ-  
სის — 85; არმიის — 69 პროცენტი

ამის შემდეგ პარტიელის პროცენ. კიდევ უფრო გაიზარდა და რო-  
გორც ზევით ვთქვი, მათი საერთო რიცხვი 258 ათასს უდრის ჯარში.  
ჩემის აზრით, ამათში დიდი უმეტესობა, რევოლუციის მიერ წამოწეუ-  
ლი ხალხია და ახალ თაობას ეკუთვნის.

არმიის ამ სამ ორგანიზატორულ ელემენტს თავს უყრიან და აკა-  
შირებენ წითელი არმიის გარშემო ბოლშევიკები და მათი კავშირი უფ-  
რო ხელოვნურია, ვინემ ბუნებრივი. მათ მიზანი სხვა და სხვა აქვთ. წი-  
თელი არმია მათთვის მხოლოდ საშვალეებაა დასახული მიზნის მისაღწე-  
ვად.

ძველი არმიის ოფიცრობის უმეტესობა წითელ არმიაში სამსახურს  
ნაციონალური თვალსაზრისით მიუდგა და წითელი არმიის თავის სიმ-  
აღლეზე დაყენება საკუთარ პატრიოტულ მოვალეობად ჩასთვალა. ოფი-  
ცრობის ამ ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელი გენ. ბრუსილოვი  
თავის მოგონებაში სწერს: —

„მე ვეკუთვნოდი რუსის ერს და ამიტომ სავსებით სწორად მიმა-  
ჩნდა გამეზიარებია მისი ბედი... ჩემთვის მთავარი იყო საბოლოო მი-  
ზანი და არა ის, თუ რას იტყოდნენ ჩემს შესახებ“—ო.

ასე ფიქრობდნენ და ფიქრობენ არა მარტო ბრუსილოვი, არამედ  
აგრეთვე — გენ. სეჩინი, პ. ლებედევი, შაპოვნიკოვი, პოლკოვნიკი კა-  
მენევი, პორუჩიკი ტუხაჩევსკი და სხვა მრავალი. მათი მიზანი იყო შე-  
ექმნათ რუსეთისათვის არსებულ პირობებში შესაფერისი შეიარაღე-  
ბული ძალა, რომელიც ბოლშევიკების დროშით აღადგენდა „დიდს,  
და განუყოფელ“ რუსეთს; რომელიც საშუალებას მისცემდა მოსკოვს

დაეპყრო პატარა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, დაებრუნებოდა ბია ისევ უკან პოლონეთი და ბესარაბია და შემოეერთებია მთელი ბალტიის მხარე. მათ კარგად ესმით, რომ შეიარაღებული ძალის უმისოდ, საბჭოთა კავშირი ერთს დღესაც ვერ იარსებებს. მათ იციან, რომ რუსეთის იმპერია შტიკით იყო მიმაგრებული პეტერბურგზე და ეხლაც მოსკოვს მხოლოდ ამ შტიკით შეუძლია შეინარჩუნოს საბჭოთა კავშირი. ცხადია, ბოლშევიკების სამსახურში მყოფ ძველი ოფიცრების ტაქტიკა ამ მხრით უფრო გონივრული გამოდგა, ვინემ თეთრ-გვარდიელი ოფიცრობის. მათ სანახევროდ თავის მიზანს მიაღწიეს. მაგრამ, რადგან მათი მიზანი სავსებით განხორციელებული არ არის, ბესარაბია და ბალტიის მხარე დაუბრუნებელია, ხოლო პოლონეთთან ომია მოსალოდნელი, ამიტომ ისინი ისევ პატრიოტულ მოვალეობად სთვლიან და შეიძლება ითქვას, რომ მას კეთილსინდისიერად ასრულებენ.

ახალი მეთაურებისათვის წითელი არმია არის ერთი მხრით პირადი კარიერის ასპარეზი და მეორეს მხრით ძალა, რომელიც მათ ბატონობის განმტკიცებას უწყობს ხელს. კომუნისტური პარტიის ფირმით რუსეთში შეიქმნა ახალი მმართველი წოდება, რომელიც თავისი ბატონობის განსამტკიცებლად შიგნით, ისე საჭიროებს შეიარაღებულ ძალას, როგორც მეფის რუსეთში წინედ საჭიროებდნენ მას — მემამულენი. ამიტომ ისინი წითელ არმიას უყურებენ უმთავრესად, როგორც კარატერულ ძალას, რომელმაც საბჭოთა კავშირში ყოველგვარი გამოსვლა უნდა ჩააქროს. ისინი არც გარეშე მტერთან ბრძოლის წინააღმდეგი არიან. როგორც დიდ ომში გამოუცდელნი და დაუკოდავნი, რომელთაც მტრის სუსხი არ უნახავთ, ისინი უეჭველად ძველ ოფიცრობაზე უფრო ადვილად თანხმდებიან ამ მხრით გაინავარდონ. მაგრამ საკმარისია მათ პირველი დამარცხება განიცადონ, რომ პანიკას მიეცენ. ჩემის აზრით, ეს ელემენტი უფრო ყოჩაღია შიგნით — ვინემ გარედ.

სულ სხვა მიზანი ამოქმედებს გერმანელებს. ის, რაც მსოფლიო ომის გამო მათ ევროპაში დაჰკარგეს, უნდათ აინახალონ რუსეთში გერმანელისათვის — ოფიცრია იგი თუ ინჟინერი, კაპიტალისტი თუ

მუშა, — რუსეთი კოლონიაა. ისე, როგორც კოლონიაში, მათ უნდათ რუსეთში დააგროვონ სიმდიდრე და შექმნან შეიარაღებული ძალა და მერმე მათი საშუალებით აღადგინონ დაკარგული პრესტიჟი და დაიბრუნონ უფლებები. ლენინი და ბოლშევიკები რუსეთს უყურებდნენ და უყურებენ როგორც მსოფლიო რევოლუციის პლაცდარმს. გერმანელები კი ცდილობენ იგი გამოიყენონ, როგორც დოიტჩური ერის მომავალი რევანშის პლაცდარმი. ამიტომ ისინი წითელ არმიაში და ქარხნებში მუშაობენ უმთავრესად არა ფულისათვის, არამედ მიზნისათვის.

რამდენად გაუმართლებს წითელი არმია ყველა ამ ელემენტებს იმედებს, ამაზე ქვემოთ ვიტყვით, ეხლა კი მოკლედ განვიხილოთ წითელი არმიის ცალკე ნაწილები.

9

წითელი არმიის ქვეითი ნაწილების სამხედრო წყობა დაახლოვებით იგივეა, როგორც იყო მეფის ძველი არმიის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შემოიღეს სამ ბათალიონური სისტემა. ოთხის მაგიერ, გარდა ამისა, გააძლიერეს პოლკების ტეხნიკური ნაწილები და საერთოდ გაამძრავლეს ცალკე სპეციალურ-ტეხნიკური ნაწილების რიცხვი — არტილერიის, ტანკების, ჯავსნოსანი ავტომობილების და მატარებლების, მოტოციკლეტების და სხვა. ერთ სიტყვით, ცდილობენ, ისე როგორც ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები, მოახდინონ ჯარების მოტორიზაცია და მექანიზაცია. ვამბობ ცდილობენ, რადგან ამას ბოლშევიკებმა დღემდის ვერ მიახწიეს და ვერც მიახწევენ, ვინაიდან მათ ხელს უშლის რუსეთის საერთო უკულტურობა და ტეხნიკურად ჩამორჩენილობა. ამ ნაკლის გამოსწორებას ისინი დეკრეტებით ვერ შესძლებენ და „ბოლშევიკური დარტყმითაც“ ვერ დაეწევიან ევროპასა და ამერიკას.

მიუხედავად ამისა, ქვეითი ჯარის ნაწილები შედარებით მეფის არმიასთან, ამ მხრით გაცილებით მაღლა სდგას. მაგრამ ეს შედარება წითელი არმიის სიძლიერის სწორ სურათს არ იძლევა, ვინაიდან მას

ბრძოლა მოუხდება ევროპის შეიარაღებულ ძალასთან, რომლის მოტორიზაციამ და მექანიზაციამ მსოფლიო ომის შემდეგ ფართო ხასიათი მიიღო და რომელიც ამ მხრით მომავალ ომში პირდაპირ საზღაპრო შემოქმედებას განავითარებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბოლშევიკები კავალერიას. სამოქალაქო ომმა რუსეთში ბუდიონის კონარმიას დიდი სახელი მოუხვეჭა და დღესაც ამ შარავანდით არის იგი შემოსილი.

საერთოდ სამხედრო მეცნიერებაში კავალერიის შესახებ ორი აზრი არსებობს. ერთი, რომელიც ამტკიცებს, რომ ტენიკას უმაღლესად განვითარების შემდეგ და პოზიციურ-სანგრულ ბრძოლის სახის შემოღების შემდეგ, კავალერიის როლი ძლიერ შემცირდა და იგი ზედმეტი გახდა. მეორე მიმდინარეობა წინააღმდეგი აზრის არის და ფიქრობს, რომ კავალერიას ომში დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს; ერთი იმიტომ, რომ მიუხედავად მოტორიზაციისა, ცხენს არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა მხედრობის სწრაფად გადასროლის საქმეში. არის ადგილი და მომენტი ომის ბრძოლაში, სადაც ცხენს მოტორი ვერ შესცვლის. გარდა ამისა, განაგრძობენ ისინი, მომავალ ომს ნაწილობრივ სამოქალაქო ომის ხასიათიც ექნება. ამიტომ კავალერიის სწრაფად შესევას დიდი მნიშვნელობა მიეცემა ასეთ დროსო.

წითელი არმიის სამხედრო ხელმძღვანელები ამ უკანასკნელ მიმდინარეობას ეკუთვნიან და კავალერიას დიდ მნიშვნელობას აძლევენ დღესაც. მართალია, ბოლშევიკებმა კაზაკობა, როგორც ცალკე სამხედრო წოდება და ნაწილი გააუქმეს, მაგრამ საერთოდ ცხენოსანი ნაწილების რიცხვი ამის გამო არ შეუმოკლებიათ, — პირიქით, გაადიდეს და კაზაკობა დღესაც ცხენოსან ნაწილებში მსახურებს. ასე რომ მხედარის ხარისხი ამით არ ჩამოქვეითებულა. მე ვფიქრობ, რომ ბუდიონის კონარმია საერთოდ მეფის კავალერიაზე მაღლა სდგას დღეს. არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ მეფის კავალერია, კაზაკების გამოკლებით, ბოლო დროს ძლიერ გადაგვარდა. მასში მსახურებდა არა ის, რომელიც უფრო ღირსი იყო, არამედ ის, ვისაც კარგი პროტექცია ქონდა და ჯიბე სქელი.

ე. წ. „ეორეკული“ ელემენტები კავალერიის მეთაურთა შორის თითქმის სჭარბობდა. აქ გარეგნულ სილამაზეზე უფრო მეტს ზრუნავდენ, ვინემ მებრძულზე.

ბუდიონის კონარმიას ეტანება ყველა ის, ვისაც გულს ერჩის, ვინც ფიზიკურად მაგარი და გამოსადეგია. შეიძლება მათ გარეგნული გაშალაშინება აკლიათ, მაგრამ სამაგიეროდ სულიერად და ფიზიკურად მაგარი არიან. ბრძოლაში ამას აქვს მნიშვნელობა და არა იმას, თუ როგორ მოხდენილად აკოცებ ქალს ხელზე და შემოიკრავ დეზს ფეხზე.

ამ რამოდენიმე წლის წინად, საქართველოში ყოფნის დროს, კონარმიის ოფიციალურმა ბელადმა ბუდიონიმ გაზეთის თანამშრომლებს უთხრა: — ყველაზე უკეთესი კავალერია ჩვენს მოწინააღმდეგე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის პოლონეთს ჰყავსო. მართალია მას არ უთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის კავალერია უკეთესია ან უცუდესია პოლონეთისაზე, მაგრამ აქედან ის გამოდიოდა, რომ ერთად ერთი კავალერია, რომელსაც სერიოზული ანგარიში უნდა გავუწიოთ, პოლონეთის არისო. მე არ ვიცნობ და არ შემოიძლია პოლონეთის კავალერიის დაფასება, მაგრამ ერთი ცხადია — ბოლშევიკები კავალერიის ხაზით პოლონეთს ეჯიბრებიან და ცდილობენ მას არ ჩამორჩენ. თავისი მხრით, უეჭველია პოლონეთი ამ მოვლენას ანგარიშს უწევს და შესაფერის ზომებს იღებს. ბოლშევიკები, თუ ომი დაიწყოს, პოლონეთთან ბრძოლას ვერ ასცდებიან. ამიტომ მათ იმედი აქვთ სამოქალაქო ომის პოლონეთის ტერიტორიაზე გაჩაღების და კონარმიის „რეიდების“. აღბად არც პოლონეთის სამხედრო შტაბია გულზე ხელდაკრეფილი. პოლონეთს ამ მხრით კიდევ მეტი გასაქანი აქვს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

საზღვაო ფლოტით რუსეთი ძლიერი არასოდეს არ ყოვილა. მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ რუსეთის ფლოტი ძლიერ დაზიანდა. ბოლშევიკებმა მისი ომამდის არსებულ დონეზე აწევა ვერ შესძლეს. ეს ასეც უნდა იყოს. ფლოტის შექმნა უფრო რთული და ძნელი საქმეა, ვინემ ქვეითი ჯარისა და კავალერიის. იგი ხარჯებსაც მეტს მოითხოვს და ტექნიკურ მომზადებასაც. გარდა ამისა, ბოლშევიკები ღარიბი არიან

სავაჭრო ფლოტითაც, რომელსაც ომის დროს როგორც ტრანსპორტო ძალას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ყველა ამას როს თავი დავანებოთ. დღეს რუსეთის ფლოტი სტრატეგიული თვალსაზრისით გაცილებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფება. ვინემ ომაძდის, ბალტიის მხარის რუსეთიდან ჩამოშორებამ მას დაუკარგა ბევრი ბევრი საზღვაო სტრატეგიული ბოლაზი. ბალტიის ზღვის სრული პატრონი დღეს რუსეთი აღარ არის. არც შავ ზღვაზე აქვს მას ამ მხრით სახარბიელო მდგომარეობა. დარდანელის სრუტეების ევროპისათვის გახსნის შემდეგ, რუსეთს ძლიერი ფლოტიც კი გაუჭირდება თავის დაცვა, არამც თუ სუსტით. ალბად ამითაიხსნება, რომ ბოლშევიკები ფლოტზე დიდ იმედებს არ ამყარებენ და მააზე შედარებით ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ.

საზღვაო ფლოტის ნაკლი ბოლშევიკებს სურთ შეავსონ საჰაერო ფლოტის გაძლიერებით. ამ ხაზით ისინი, გერმანელების დახმარებით, დიდ მუშაობას ეწევიან. ზოგიერთის აზრით, საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტს, პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს. ამ აზრის არის ზოგიერთი უცხოელი სამხედრო სპეციალისტიც კი. ანკლია იმის მტკიცება, რამდენად ეს სინამდვილესთან არის ახლოს. ის სამხედრო საჰაერო ვარჯიშობანი და შეჯიბრებანი, რომელთაც ყველა სახელმწიფოს საჰაერო ფლოტები აწარმოებენ, არ მოწმობს იმას, რომ ბოლშევიკების ავიაცია ძლიერ მალლა იდგეს. გარდა ამისა, როგორც ჰროფ. გენერალი გოლოვინი ამბობს, შეიძლება ის გადაჭარბებული იმედები, რომელსაც დღეს ზოგიერთი საჰაერო ფლოტზე ამყარებს, მომავალ ომში არ გამართლდეს. მას დღემდის ვერ მიუღწევია იმ დონემდას, რომ ბურუსიან ამინდში მტერს ზემოდან ყუმბარები სისწორით დაუშინოს. მით უმეტეს, წყალზე მოქრავ ფლოტს.

რაც შეეხება არტილერიას, როგორც ბოლშევიკურ ოვაციალური ცნობებით, ისე კერძო ცნობითაც, მათ იგი მეფის არტილერიასთან შედარებით მალლა ასწიეს. მაგრამ შესაძლებენ მის სათანადოთ მოტორიზაციასა და ტენზიზაციას ისე როგორც დღეს იგი ევროპაში და ამერი-

კაში სწარმოებს?! აი ამოცანა, რომელიც ბოლშევიკებს უდგათ წინ დასაპრელად და რომელსაც, ჩემის აზრით, ვერც საბჭოთა რუსეთი, და ვერც სხვა რუსეთი საერთო ჩამორჩენილობისა გამო დამაკმაყოფილებლად ვერ გადასჭრის.

ტერ.ნაწილების დასაფასებლად ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. იგი წითელი არმიის უფროსესტ ნაწილს წარმოადგენს. საერთოდ კი იმავე სახის არის, როგორიც წითელი არმიაა. საბჭოების მეხუთე ყრილობისათვის, 1929 წელს, წარდგენილ მთავრობის ანგარიშში ნათქვამია: —

„ ეხლა ტერ.ნაწილები იმდენად მომაგრდენ და მოემზადენ, რომ ისინი საერთოდ და მთლიანად კადრების ნაწილებს არ ჩამორჩებიანო“.

ჩვენც წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასეა.

ახალ, განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენენ წითელი არმიის ნაციონალური ნაწილები რუსეთის სამხედრო ისტორიაში. ბოლშევიკები და მათი მოწინააღმდეგენი ნაციონალური ჯარის ნაწილების შექმნას საბჭოთა ხელისუფლებას აწერენ. ეს ასე არ არის. მართალია, 1923 წ. კომპარტიის მე-12 ყრილობამ დაადგინა: —

მიიღონ პრაქტიკული ზომები ნაციონალური ჯარის ორგანიზაციის შესაქმნელად-ო მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლშევიკები ახალის რასმეს შექმნას შეუდგენ ამ დარგში. არა. ნაციონალური ჯარები თებერვლის პირველი ხანებიდანვე გაჩდენ და ჩამოყალიბდენ. მათ უკვე ჰქონდათ რამოდენიმე წლის ბრძოლისა და არსებობის საკუთარი ისტორია. როცა ბოლშევიკებმა მოსკოვის ჯარით დაიპყრეს უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და სხვა; მათ ყველგან სწორედ ეს ნაციონალური ჯარები ებრძოდენ. და ნაციონალური ჯარების არსებობის იდეას ისე ღრმად ჰქონდა ფესვები ხალხში, რომ

ბოლშევიკებმა მისი ერთი დაკვრით გაუქმება ვერ შესძლეს. ამავე დროს მოსკოვისათვის ცალკე ნაციონალური ჯარების არსებობა პოლიტიკურად საშიშ ძალას წარმოადგენდა. და აი, ბოლშევიკების წინაშე დაისვა საკითხი, როგორ მოეხდინათ ამ ძალის ისე ლიკვიდაცია, რომ ამ ნინიადგზე უკმაყოფილება არ გამოეწვიათ ერებში. ბროიდოს, რომელიც ყრილობაზე მოითხოვდა „ბოლო მოელოთ ნაციონალური საკითხისათვის და თავი დაენებებიათ ავტონომიასთან თამაშისათვის“, ყრილობა არ დაეთანხმა და ამჯობინა სტალინის ფარული ბრძოლის ტაქტიკა ერების წინააღმდეგ, ბროიდოს ღია, აშკარა ბრძოლას. ამიტომ დაადგინა მან ნაციონალური ჯარის ნაწილების დატოვება და მისი სამხედრო ორგანიზაციის ისე შოწყობა, რომ იგი პოლიტიკურად საშიში არ ყოფილიყო.

როგორ შეიძლებოდა ეს? — ორი გზით: —

ბოლშევიკებმა ყველგან გააუქმეს ნაციონალური ჯარი და მისი ორგანიზაცია და ქვეყნის თვალის ასახვევად შექმნეს მცირე-რიცხოვანი წითელი არმიის ნაციონალური ნაწილები. ამის ცოცხალი მაგალითია საქართველოს ჯარის ისტორია. ასეთი ნაწილები დღეს ყველგან არსებობს. უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქესტანში და სხვაგან. ცხადია, ეს ის დამოუკიდებელი ნაციონალური ჯარი არ არის, რომელიც იყო წინად.

ბოლშევიკები ნაციონალური ჯარის ასეთი დასაჭურისებითაც არ კმაყოფილდებიან და რომ ყოველი „მოულოდნელი შემთხვევიდან“ დაზღვეული იყვნენ, ამ ადგილებში ყველგან ჩაყენებულია რუსის წითელი არმიის მრავალრიცხოვანი ჯარი, რომლის სამხედრო შტაბსაც დაქვემდებარებული ყავს ნაციონალური ნაწილები.

გარდა ამისა, სამხედრო ბეგარით გაწვეულ ამა თუ იმ ერის შვილებს გზავნიან რუსეთის შიდა გუბერნიებში ჯარისკაცად და მოტივად ასახელებენ „სპეციალურ საჭიროებას“. მაგალითად, მოსკოვის კონარმიის ნაწილისათვის მიყავთ უკრაინელი ახალგაზრდები და კახაკები, ვინაიდან მათ ცხენოსნობა კარგად ეხერხებათ. ხოლო პეტერბურგისა და მოსკოვის გუბერნიებიდან გზავნიან უკრაინის ჯარისთვის მუშებს. ვინაიდან აქ

მუშათა რიცხვი მცირეა, და სხვა ასეთი „მოსაზრებანი“.

ნაციონალური ნაწილების სამხედრო წყობა და კაზმულება ისეთი-  
ვეა, როგორც საერთოდ წითელი არმიის. განსხვავება იმაშია მხოლოდ  
რომ სწავლა სწარმოებს მშობლიურ ენაზე. მაგრამ ამ მხრითაც იგი ძლი-  
ერ ცუდ პირობებშია ჩაყენებული, ვინაიდან ნაციონალური ნაწილის ახა-  
ლი მეთაურები სამხედრო სწავლას ღებულობენ რუსულ სამხედრო სა-  
სწავლებელში. ეს თავის თავად ხელს უშლის ეროვნული სამხედრო ცოდ-  
ნისა და ტერმინოლოგიის დამუშავებას.

ასე რომ ნაციონალურმა ჯარებმა, ბოლშევიკების მიერ ქვეყნის და-  
პყრობის გამო, ბევრი დაკარგეს. რასაკვირველია, ერის საბოლოო საქ-  
მისათვის ნაციონალური ნაწილების არსებობასაც მნიშვნელობა აქვს;  
თვითმპყრობელობის დროს ესეც არ იყო. ქართული ანდაზა ამბობს: —  
ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგი არისო. ასეთი თვალსაზრი-  
სით უნდა შევხედოთ წითელი არმიის ნაციონალურ ნაწილებსაც დღეს.

კაუი

ჩეხია, 1931 წ. 27 მაისი.

(დასასრული იქნება)

## ი ნ ტ ე ნ დ ა ტ უ რ ა    და    მ ი ს ი    ბ ი უ ჯ ე ტ ი

ამ ჩემს მესამე წერილში ვეცდები მკითხველს გავაცნო, თუ ჯარისა-  
თვის საინტენდანტო განყოფილებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს და რა  
დარგები შედიან მის ბიუჯეტში.

მთელი სამხედრო ბიუჯეტიდან, რომელზედაც წინა წერილში მქონდა ლაპარაკი, თითქმის 65-75 პროცენტს ინტენდანტურა განაგებს. ეს ციფრები ამკარად ამტკიცებენ, თუ რა დიდ როლს თამაშობს საინტენდატო ნაწილი ყველა სახელმწიფოში. უნდა ითქვას, რომ ინტენდანტურის როლი ძლიერ თვალსაჩინო და საპასუხისმგებლოა.

წინა ხანებში, როდესაც სახელმწიფოებრივი აპარატი არ იყო ეგრე მოწყობილი, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებში, და ფინანსიური მხარე ეგრე განვითარებული, ჯარის დაკმაყოფილება უმეტეს ნაწილად ნატურით ხდებოდა; სახელმწიფო იშვიათად თუ გაიღებდა რაიმე თანხას, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელი იყო რომელიმე დარგის ნატურით დაკმაყოფილება, როგორც მაგალითად, შეიარაღება. ეხლა კი, თვით სახელმწიფო აკმაყოფილებს ჯარის ყოველივე მოთხოვნილებას. პირდაპირ კი, ნატურით, ხალხის მიერ ჯარის დაკმაყოფილება, არ შეადგენს მნიშვნელოვან საგანს, მშვიდობიანობის დროს, ამასთანავე სახელმწიფო ვალდებულია ხალხის მიერ გაღებულ ყოველ ნივთში გადაიხადოს მისი ფასი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წერილის მიზანს არ შეადგენს ინტენდანტურის ისტორიის მოყოლა-გაშუქება, მაინც მოკლედ შევეხები მას და თვით მკითხველი გამოიტანს იმ დასკვნას, რომ ინტენდანტურა ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა სამხედრო ხელოვნებაში და მის ერთ განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, თუ როგორ შეუწყო ხელი სამხედრო ხელოვნების წინსვლამ და განვითარებამ ამ დარგის განვითარებასაც. ამას ჩვენ ადვილად დავინახავთ, თუ გავეცნობით სამხედრო ისტორიის მიმდინარეობას, რომელიც ნაც ასე მკიდროდ და უშუალოდ დაკავშირებულია ინტენდანტურის განვითარებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მცირე ცნობები მოიპოვება უძველეს ისტორიაში ჯარის გამოკვების საკითხის შესახებ, მაინც შეგვიძლია ცოტა რამ აქა-იქ ამოვიკითხოთ, რაც ადვილად დაგვანახებს, თუ ამ საკითხის მოწესრიგებას ძველი დროის სარდლები რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

როგორც ჰეროდოტე მოგვითხრობს, ჯარის გამოკვების საკითხში იქმნა ცხენზედ მტრის შეტევა. ამ დაწყობილებით ბრძოლის წარმოება ძოითხოვდა დახელოვნებას ჯარის გამოკვებაში. (ჩნობილია, რომ ებრაელები მიმართავდნენ ბარბაროსულ ზომებს დაპყრობილ ქვეყნებში ჯარის სურსათით დასაკმაყოფილებლად. პირველი სიმსონი იყო, რომელმაც შემოიღო ჯარის ჯამაგირებით დაკმაყოფილება. მისივე განკარგულებით ხდებოდა სურსათის დამარაგება ჯარის გამოსაკვებათ.

სპარსეთში, როდესაც კიროსი აურაცხელი ჯარით და მცხოვრებლებით მიერეკებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, იძულებული გახდა რაც შეიძლება მეტი ზომები მიეღო მათი სურსათით დაკმაყოფილებისათვის.

ალექსანდრე მაკედონელი ერთსა და იმავე დროს იყო გენიოსი სარდალი და მშვენიერი ადმინისტრატორი. დარწმუნებული იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ომიანობის დროს ჯარის გამოკვებას და რა ძნელია თვით მებრძოლი ძალისათვის ამ საკითხზე ფიქრი, იგი შეეცადა მებრძოლნი გაენთავისუფლებია ამ ზრუნვისაგან და შექმნა სპეციალური ადმინისტრაცია, რომელსაც დაევალა ამ დარგის მოვარება. ამიტომ იყო, რომ ყოველივე სახედრო მოქმედებას ალექსანდრე მაკედონელი იწყებდა მხოლოდ წინასწარ სურსათის მომარაგების შემდეგ.

მტრის ქვეყანაში დიდი დახელოვნებით იყო ადგილობრივი სურსათი გამოყენებული, რომლის დამაგროვებლად და დასამარაგებლად იყენებდა თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარ ადმინისტრაციას, რითაც იგი სკდილობდა თავიდან აეცილინა ჯარისკაცის მიერ უსამართლობის ჩადენა და ცარცვა.

ჰანიბალი, თითქმის ყველა თავის საომარ მოქმედებებში, ჯარის გამოკვებას ამყარებდა ადგილობრივად მოგროვებულ სურსათზე. წინასწარ საგანგებოდ დანიშნული კაცების საშუალებით იყო გამოკრეფული სად, რა და რაოდენი სურსათის პოვნა შეიძლებოდა. ზოგიერთი მისი სამხედრო მოქმედებანი დამყარებული იყვენ საწყობების სისტემაზე ე.

ი. შემოდგომაზე სურსათი იყო საწყობებში დაგროვილი და მომარაგებული, რომლის წყალობით წლის დანარჩენი დროის განმავლობაში ჯარი იკვებებოდა. ეს საწყობები იყო მოთავსებული უმთავრესად სიმაგრეებში, რომლებთანაც ჯარს მუდმივი კავშირი ჰქონდა.

რომაელების თითქმის ყველა გამარჯვება შედეგი იყო, როგორც სამხედრო ხელოვნების უმაღლეს წერტილამდე მიყვანისა, აგრეთვე ჯარის სურსათით გამოკვების საკითხის მშვენივრად მოგვარებისა. მათი მოქმედება შემდეგ პრინციპზე იყო დამყარებული: — 1. კარგად და თავის დროზე ჯარისკაცის გამოკვება არის უპირველესი საშუალება გამარჯვების მისაღწევად. 2. ზამთარი არ არის დრო სამხედრო მოქმედებებისათვის, ვინაიდან სურსათის მოწყობა ძნელია და 3. რომ ჯარის გამოკვება სამხედრო გეგმის უმთავრეს ელემენტს შეადგენს.

ტიტუს ლივიუსის სიტყვით, ახლად არჩეული სენატი არდგენს მომავალი წლისათვის ჯარის შესანახავ გასავალ თანხებს, სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს გასავალი ექვემდებარებოდა კვესტორების კონტროლს, მაშინ ეს უნდა ჩავთვალოთ ისტორიაში პირველ სამხედრო ბიუჯეტად.

რომაელების ჯარისკაცი საკმაოდ იყო დაკმაყოფილებული ფქვილით, ხორციით, მწვანილით, მარლით, ღვინით და ძმრით. ორ-ნახევარი კილოგრამი ქერი ერთ ცხენზე იყო ნაანგარიშევი. ვინაიდან რომაელი ჯარისკაცი ჯამაგირზე იყო, ყველა ზემო-აღნიშნულ სურსათს იძენდა სამხედრო საწყობებიდან დაკლებულ ფასებში.

ცეზართა ხანაში, ფრუმანტორები განაგებდნენ სასურსათო საწყობებს; მათ მოვალეობას შეადგენდა სასურსათო და სატრანზიტო საწყობების ჯეროვან მდგომარეობაში შენახვა და სურსათით ჯარის დაკმაყოფილება.

ამით ვათავებ უძველეს ხანას და რამოდენიმე სიტყვა მინდა მოგახსენოთ ჩინგის-ხანზე თემურ-ლენგზე, რომელნიც მონვოლთა ომების ისტორიაში ახალი ეპოქის შემქმნელად ითვლებიან.

როგორც ჩინგის-ხანი, აგრეთვე თემურ-ლენგი ძლიერ სცდილობ-

დენ ჯარის გამოკვების საკითხი უმაღლეს საფეხურზე დაეყენებინათ. თვითეული ჯარისკაცისათვის იყო განსაზღვრული სურსათის რაოდენობა და ხარისხი. ვინაიდან თვით ჯარისკაცებისათვის ძნელი იყო ამ საგანზე ზრუნვა, ეს მოვალეობა გადაეცა ამ საქმისათვის დაყენებულ სპეციალურ ადმინისტრატიულ მოხელეებს, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ: — ბანაკების მოწყობა, ჯარის გამოკვება, სურსათის დაგროვება, გარდაქმნა, დამარაგება საწყობებში და ტრანსპორტის მოწყობა. მოხელენი ვალდებული იყვნენ რაც შეიძლებოდა კარგად შეესწავლათ ქვეყნის, ადგილობრივი ეკონომიური მდგომარეობა; ამ მიზნით, ომიანობის დაწყების წინა ხანში აგროვებდნენ და ამარაგებდნენ სურსათს, საქონელს. ამ საქმისათვის წინადადეგ ამორჩეულ ადგილებზე და წინმსვლელობის დროს ყველა ამ საჭირო საგნების გადაზიდვას ახდენდნენ, ჯარის ზურგში, აქლემებით, ცხენებით, და სადაც შესაძლებლობა იყო წყლითაც. ომის დაწყებამდე კარგად გამოარკვევდნენ, სად რა სურსათის პოვნა შეიძლებოდა ადგილობრივ და თითქმის ყოველთვის დაპყრობილ მხარეს. მაქსიმუმამდე გამოიყენებდნენ ხოლმე.

რასაკვირველია, დროთა ვითარებით, ჯარის ორგანიზაციის და ადმინისტრაციის საკითხი თანდათან წინმსვლელობას განიცდიდა, თუმცა-ღა დიდი თვალსაჩინო გარდატეხა არ მომხდარა, თითქმის ნაპოლენამდე.

საფრანგეთის პირველი რევოლუციის ხანებში ჯარის გამოკვების საკითხი ვერ იყო თავის სიმაღლეზე დაყენებული, მხოლოდ რევოლუციის ენტუზიაზმის წყალობით, ადვილად აიტანა ჯარმა ყველა ის ნაკლი, რომელიც არსებობდა ჯარის გამოწყობა-გამოკვებაში. ნაპოლენი ძლიერ კარგად გრძნობდა ამას და ცდილობდა, რაც შეიძლება, ეს საქმე გამოესწორებია. შემუშავებული იყო ინსტრუქცია, რომლიდანაც სჩანს, რომ ომის გამოცხადებისათანავე უნდა შეექმნათ საწყობები იმ გზაზე, სადაც ჯარს უნდა გაევიდო, ყოველი 30 მილის მანძილზე. საწყობების შევსება ხდებოდა ან ადგილობრივ ან კიდევ თვით უმთავრეს ბაზიდან გადმოზიდვით. რასაკვირველია, ამ ინსტრუქციის განხორციე-

ლება ძლიერ ძნელი იყო, ვინაიდან რევოლუციის ხანაში საფრანგულ საშინელ ეკონომიურ გაჭივრებას განიცდიდა. ფულის უქონლობამ და ტრანსპორტის მოუწყობლობამ ნაპოლეონის ყველა ოპერაციას ძლიერ შეუშალა ხელი. — რაც შეეხება ადმინისტრატიულ აპარატის შემადგენლობის ინტელექტუალურ და მორალურ მდგომარეობას, ესეც ვერ იყო საჭირო სიმაღლეზე დაყენებული. რევოლუციის ხანაში, მექრთამიზმას შეჩვეული მოხელეები, თავის ჯიბეზე მეტს ფიქრობდენ, ვიდრე ჯარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

საანგარიშო წიგნების გატარება, რომელიც ნაპოლეონმა ჯარში შემოიღო, ძლიერ ძნელი იყო მოუმზადებელი მოხელეებისათვის. საშინელი ფორმალისტი ფრანგი, რომელიც ხშირად ერთსა და იმავე დროს ასრულებდა ჯარის გამოკვების მოვალეობას და მასზე კონტროლსაც მეტს ყურადღებას აქცევდა სხვა და სხვა გასავალის დამამტკიცებელ საბუთებს, ვიდრე ჯარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. სხვა და სხვა ინსტრუქციების და განკარგულებების უქონლობის გამო, ჯარის გამოკვების საკითხი ძლიერ დაკავშირებული იყო თვით უფროსის პირად დამოკიდებულებაზე და შეხედულებაზე სამსახურის შესახებ; ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ იმ დროის ფრანგის მოხელე ყოველივე ინიციატივას მოკლებული იყო. ნაპოლეონი ძლიერ კარგად გრძობდა, რა ძნელი იყო ამ პირობებში გამოკვების საკითხის მოგვარება და რა დიდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ეს გამარჯვებისათვის.

თითქმის ყველა თავის ოპერაციაში, ჯარის გამოკვების საკითხს თავის ხელიდან არ უშვებდა და თვითონვე აძლევდა განკარგულებებს და ბრძანებებს ამ საკითხის გასაუმჯობესებლად. ხან მთავარი შტაბის უფროსს, ხან გენერალურ ინტენდანტს, და ხშირად კი თვითონვე ერეოდა დაბალ მოხელეთა განკარგულებაში და იძლეოდა დაწვრილებითი ინსტრუქციასა და ბრძანებებს.

1870 წ. ომის გაშლასთან დაკავშირებით, საფრანგეთში, დაახლოებით შემდეგი ორგანიზაცია იყო ინტენდანტურისათვის: —

ინტენდანტები განაგებდენ ჯარის მთელ გასავალ თანხებს და შტა-

ბის ნაწილს შეადგენდენ; თავის მოვალეობას ასრულებდენ სამხედრო მინისტრის სახელით. ომიანობის დროს ჯარის უფროსი გამოსცემდა ბრძანების მეორე ნაწილსაც (ე. ი. ჯარის გამოკვება ყოველივე საჭირო სურსათითა და მასალით) და მის რიგს, — ინტენდანტურა კი ლეზულობდა ყველა ზომას ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ამ ომში დამარცხების მიზეზებს ფრანგები ყველგან ეძებდენ; სპეციალური კომისია იყო დანიშნული, მაგრამ ვერავითარი ნაკლი ვერ აღმოაჩინეს ინტენდანტურის მოქმედებაში. უმთავრესი მიზეზი იყო ჯარის მოუშზადებლობა და ცუდი ორგანიზაცია. ყოველი ზომა იქმნა მიღებული ჯარის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და შტაბსა და ადმინისტრაციას შორის მჭიდრო კავშირი — თანამშრომლობის განსამტკიცებლად, რაც, შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად დავასურათოთ:

ადმინისტრაციის (სამსახურების) უფროსებისათვის დაქვემდებარებით (ჯარი განიყოფება ორ ნაწილად: 1. იარაღით მებრძოლნი და 2. მათი დამხმარე სამსახურები); სამსახურების შტაბიდან გამოცალკეებით და კონტროლის უფროსისგან დამოუკიდებლობით.

1890 წ. საფრანგეთის მთავრობის დეკრეტი ინტენდანტურის მოვალეობას შემდეგ-ნაირად არკვევდა:

1. ადმინისტრაცია ჯამაგირებისა, ჯარის გამოკვებისა, ტან-საცმელისა, ბინისა, ტრანსპორტისა, საწოლისა და აგრეთვე განკარგულეზანი ამ საკითხებისათვის საჭირო თანხების გაღების შესახებ.

2. განკარგულეზანი თანხის გაღებისა ადმინისტრატიულ ერთეულისათვის და სხვა დაწესებულებისათვის. მათი კონტროლი და ცნობა გაცემულ თანხებისა, მატერიალისა ადმინისტრატიული ერთეულების და დაწესებულებების სალაროებიდან და საწყობებიდან.

3. ჯარისკაცების მოსაწვევი და აგრეთვე სასამართლოებისათვის საჭირო თანხების გაღების განკარგულეზანი.

4. ადმინისტრაცია პერსონალური შემადგენლობისა ადმინისტრატიულ ერთეულთ გარეშე მყოფ ოფიცრებისა, ჯარისკაცებისა და მოხელეებისა.

ამდაგვარი დავალებები ჰქონდა საფრანგეთის ინტენდანტურას მსაჯულთა ფლიო ომის გამოცხადების დროს. როგორც ავტორიტეტული პირები მოწმობენ, საფრანგეთის ინტენდანტურამ შვენიერად შეასრულა თავისი მოვალეობა. მოვუსმინოთ, რას ამბობს ბ-ნი ვერნეი, ამ საქმის კარგი მცოდნე და გამოცდილი პირი: —

„საერთოდ ცნობილია, რა შესანიშნავად შესძლო ინტენდანტურამ გეგმის სისრულეში მოყვანა; აგრეთვე ცნობილია, რა ალტაცებაში და განცვიფრებაში მოჰყავდა მას ჯარისკაცები, მისი სწრაფი და რეგულიარული მოქმედებებით, ჯარისათვის სხვადასხვა საჭირო სურსათის მიწოდებით ომიანობის პირველი დღიდანვე, იმ სურსათის გამოუკლებლივაც კი, რომელზედაც ფიქრობდენ, რომ რეგულიარულად მისი ჯარისკაცებისათვის დარიგება შეუძლებელია -ო.

ამგვარ შეხედულებასვე გამოსთქვამს პოლკოვნიკი პელლეგრონი: —

„უკანასკნელი ომის დროს ინტენდანტურამ შესძლო ისე დაეკმაყოფილებია ჯარის მოთხოვნილებანი, რომ სხვა დროს ყოვლად შეუძლებლად ჩაითვლებოდა იმ პირობებში, რომელშიდაც ჯარისკაცი იმყოფებოდა. ომიანობის დროს, დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, არ ყოფილა მაგალითი, რომ ინტენდანტურისათვის ესაყვედურებიათ და ეს კი არის მისთვის ყველაზე უფრო მეტი ჯილდო“.

გერმანელები კარგად აფასებრენ ინტენდანტურის მუშაობას და აუცილებლად მიაჩნდათ, დიდ ერთეულებში, საინტენდანტო დარგში, უმაღლესი ხელმძღვანელობა გაეწიათ, სპეციალურად განათლებულ და თეორიულ და პრაქტიკულად გენერალურ შტაბის მუშაობასთან გაცნობილ ინტენდანტებს. გერმანელი სამხედრო მწერლის, ბ. შვარცის თანახმად, — არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს ინტენდანტის და გენერალურ შტაბის ოფიცერთა შორის, ვინაიდან შეერთებული ძალები, ცდა და თანამშრომლობა ამ „მეუღლეებისა“ კარგი შედეგების გარანტიას იძლევა. ამით მინდა დავასრულო ინტენდანტურის მოკლე ისტორია და ის დიდი როლი, რომელიც ინტენდანტურას არგუნა სამხედრო ხელოვნებაში და გადავიდეს თვით საინტენდანტო ბიუჯეტზე.

რაც შეეხება თვით საინდენტანტო ბიუჯეტის გასაავალს, ის შემდგომად შემდგენიარად იქნეს განაწილებული: —

1. პიროვნული შემადგენლობის ჯამაგირებით დაკმაყოფილება;
2. ჯარის გამოკვება;
3. ჯარის ჩაცმა და გამოკაშმვა;
4. ბინის და მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება.

პიროვნული შემადგენლობის ჯამაგირით დაკმაყოფილებაში ვგულისხმობთ ოფიცრების, ჯარისკაცების და სამხედრო მოხელეთა ჯამაგირით დაკმაყოფილებას; მათი სამსახურისათვის მოგზაურობისა და გადაყვან-გადმოყვანის სამგზავრო ფულით დაკმაყოფილებას; ჯარის მთელი პიროვნული შემადგენლობა უნდა იქნეს რამოდენიმე ჯგუფად ან ხარისხად დაყოფილი. ამისათვის არის გამომუშავებული სახელმწიფო მოხელეთა სპეციალური წესდება, რომელიც პარლამენტის მიერ არის მიღებული. წესდება შეიცავს სახელმწიფო მოხელეთა მოვალეობებს და მათ უფლებებს. შეიძლება ერთი, — ყველა სახელმწიფო მოხელესათვის და ან იმისგან იქმნას სამხედრო უწყება გამოცალკეებული და მხოლოდ ოფიცრთა და ჯარისკაცთა შემადგენლობას ეხებოდეს.

პირველ შემხვევაში, მთელი შემადგენლობა არის რამოდენიმე ჯგუფად დაყოფილი; უმაღლესი ხარისხი შედის პირველ ჯგუფში და უკანასკნელში კი, ყველაზე დაბალი ხარისხი. თვითეულ ჯგუფზე გარკვეულია თანხა და ყველა, ვინც ამ ჯგუფში შედის ერთნაირი ჯამაგირით არის დაკმაყოფილებული.

იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო უწყება არის გამოცალკეებული და საერთო პიროვნულ შემადგენლობაში არ შედის, მაშინ ხარისხისდა მიხედვით არის ჯამაგირები მოწესრიგებული. საბიუჯეტო გასაავალი თანხის გამოანგარიშების დროს, საჭიროა ვიცოდეთ პერსონალური შემადგენლობის საერთო რიცხვი, ჯგუფების ან ხარისხების მიხედვით და აგრეთვე ჯამაგირის რაოდენობა თვითეულ მათგანზე.

თანხის გამოანგარიშების დროს საჭიროა ვიცოდეთ პერსონალური ჯამაგირის გარდა შეიძლება შემოღებულ იქნას სხვა და სხვა და-

მატება: ეკონომიური ე. ა. ოჯახის შესანახავი, იმისდა მიხედვით, თუ ამა თუ იმ მოხელეს ოჯახის რამდენი წევრი ჰყავს შესანახავი. (საერთოდ, ოჯახის წევრად ითვლებიან მხოლოდ ცოლი და შვილები). ამ საბიუჯეტო გასავალი თანხის გამოანგარიშების დროს საჭიროა ვიცოდეთ ცოლ-შვილთა რიცხვი, რომელიც უნდა გავამრავლოთ ერთ წევრის შესანახავად მიღებულ თანხაზე.

ვინაიდან თითქმის ყველა დედა-ქალაქში ცხოვრება უფრო ძვირია, ვიდრე სხვა ქალაქებში, ამისათვის არსებობს დედა-ქალაქში ცხოვრებისათვის სპეციალური დამატება; ამ შემთხვევაში შემოღებულია, **მატება.**

მთელი ეტატი დაყოფილია რამოდენიმე სასამსახურო კატეგორიად და თვითეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს სპეციალური სასამსახურო (ფუნქციების შესრულებისათვის — რუსები ამგვარ დამატებას ეძახოდნენ „სტოლოვის“) დამატება. ამის გამოანგარიშება ხდება ისე, როგორც ჯამაგირებისა.

ბინისათვის დამატება ეკუთვნის ყველა მუდმივ მოსამსახურეს; მისი რაოდენობა დამყარებულია ჯამაგირების დაჯგუფებაზე, ადგილზე და ოჯახურ მდგომარეობაზე.

ვინაიდან სანაპირო რაზმის სამსახური ყოველთვის უფრო მძიმე და სახიფათო პირობებშია, საჭიროა სპეციალური სანაპირო რაზმის დამატება, რომლის რაოდენობა 20-40 პროც. ჯამაგირისას შეადგენს.

სამსახურით გამოწვეული მოგზაურობისათვის — სპეციალური დამატებაა; რაოდენობა აღირიცხება ხარისხისდა მიხედვით. ამ საბიუჯეტო გასავალი თანხის გამოსანგარიშებლად, გენერალური შტაბი წინასწარ არკვევს, რამდენი დღე მოგზაურობისა, რომელ ხარისხებში, მოელის იგი მომავალ საბიუჯეტო წელში.

ამ ცნობებს იგი გადაუგზავნის ინტენდანტურის საბიუჯეტო განყოფილებას, რომელსაც შეაქვს საჭირო თანხა საბიუჯეტო პრელიმინაჟში.

ზემო აღნიშნული დამატებები არიან უმთავრესნი, თუმცა არსებო-

ბენ სხვა დამატებანიც, როგორც მაგალითად: საველე ვარჯიშობისთვის დამატება, მიძიმე სამუშაოზე მომუშავე ჯარისკაცებისათვის დამატება, ტექნიკური დამატება, ტობოგრაფია და გეოდეზიის დამატება, სავიაციო დამატება, ომიანობისათვის დამატება და სხვა.

ამ ცნობებით დაკმაყოფილები პირველი საკითხის გამოსარკვევად და გადავალ მეორე საკითხზე — ჯარისკაცების და ჯარის საქონლის გამოკვებაზე.

ჯარის გამოსაკვები ბიუჯეტი შედგენილი უნდა იქნეს რაც შეიძლება სწორედ, რათა სინამდვილეს შეეფერებოდეს, ვინაიდან ამ დარგის საკითხი ისეთია, რომ სავსებით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და არავითარი შეკვეცა ხარჯების ამ საკითხში არ შეიძლება მოხდეს. საჭირო თანხების აღრიცხვა დამყარებულია გამოსაკვებთა რიცხვზე, საჭირო სურსათის რაოდენობაზე და მათ ფასებზე. ჯარის სიმრავლე შესაძლოა დანამდვილებით იქნეს გამორკვეული, ვინაიდან ჯარის ორგანიზაცია განსაზღვრავს მის რაოდენობას, ეტატს; ამ ეტატების ჯამი საერთო ჯარის რიცხვს გვაძლევს. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის და განსხვავებაა შემოაღნიშნული სისტემითა ჯარის აღრიცხვაში და ფაქტიურ შემადგენლობაში. ამის გვერდის ავლა ძლიერ ძნელია შემდეგ მიზეზებისა გამო: — არსებული ორგანიზაციის საშუალებით, და სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობისდა მიხედვით, ყოველ წლიურად არის დანამდვილებით გამორკვეული მოსაწვევ ჯარისკაცების კონტინგენტი. მაგრამ მათი რიცხვი ყოველთვის სინამდვილეს არ უდრის, ვინაიდან ძველ ჯარისკაცთა დათხოვნის და ახალთ მოსაწვევი ტერმინები იშვიათად ერთმანეთს უახლოვდებიან და ამისათვის წლიური საშუალო რიცხვი თითქმის ყოველთვის ირყევა ინ პლუს ან ინ მინუს.

უფრო მეტი განსხვავება არსებობს სათადარიგო გეგმის მიერ მოსაწვევ ჯარისა და ფაქტიურათ მოსულთ რიცხვს შორის. ამ ფაქტიურად პიროვნული შემადგენლობის რაოდენობა, საბიუჯეტოდან რომ არ განსხვავდებოდეს, საჭიროა რაც შეიძლება ძლიერ ხშირად და დიდი სისწორით ეძლეოდეს ცენტრალურ ორგანოებს მათზე დაქვემდებარებულ

ლი ადგილობრივი ორგანოებიდან, ცნობები ერთეულთა ფაქტიურ შემაღდგენლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტიური რიცხვი შემაღდგენლობისა გადააჭარბებს საბიუჯეტო პიროვნული შემადგენლობის რიცხვს, მაშინ ცენტრალური ორგანოები ამ შეცდომის გამოსასწორებლად, ყოველწლიურ ჯარისკაცთა დათხოვნის ტერმინს დააჩქარებენ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა საბიუჯეტო თანხის შეთანხმებისათვის.

რაც შეეხება სურსათის რაოდენობას, რომელიც საჭიროა საბიუჯეტო ხანისათვის, აქ უნდა ვიცოდეთ ჯარისკაცისა და საქონლის ულუფა, რომელიც ყველა სახელმწიფოში მოწესრიგებულია სათანადო განკარგულებებით; უნდა ვიცოდეთ ჯარისკაცთა და საქონლის შემადგენლობის რიცხვი.

თუ, მაგალითად, სხვადასხვა მდგომარეობის და ადგილობრივი პირობების-და-მიხედვით შემოღებულია ულუფის სხვა და სხვა დამატება, საჭიროა ამ დარგის საბიუჯეტო თანხის გამოანგარიშების დროს, რაც შეიძლება დანამდვილებით იქნეს მხედველობაში მიღებული ყველა ამ დამატებისათვის საჭირო თანხა.

თვით ბიუჯეტისათვის აღრიცხვა და აღნუსხვა სურსათისა, ჯარის გამოსაკვებად, საბიუჯეტო ხანისათვის, მაშინ წარმოადგენს საჭიროებას, თუ ერთეულები არიან ცენტრალური და ადგილობრივი ორგანობის მიერ დაკმაყოფილებულნი; იმ შემთხვევაში, თუ შემოღებულია რიჩალტური მეურნეობა ე. ი. ერთეულები ღებულობენ არა საჭირო სანოვაგეს, არამედ ფულს მის შესაქენად, მაშინ საკმარისია გამოანგარიშებული იქნეს თვითეული ნორმალური და დამატებიანი ულუფის ღირებულება, და ვინაიდან ორგანოებს მოეპოვებათ ცნობები, ერთეულის რამდენი ჯარისკაცი იმყოფება ნორმალურ და რამდენ დამატებიან ულუფაზე, საკმარისია ულუფის ღირებულება იქნეს ამ რიცხვზე გამრავლებული და მივიღებთ ბიუჯეტისათვის საჭირო თანხას.

რასაკვირველია, დიდ გასაჭირს წარმოადგენს ფასების საკითხი, რაზედაც არის დამყარებული საჭირო თანხების გამორკვევა, როგორც

ნატურით, ისე რიჩალტური წესით დაკმაყოფილების დროს. არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ფასები მხოლოდ ერთ ადგილზე არსებული. ჯარი თითქმის მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არის განაწილებული და ფასებიც სხვადასხვა ადგილზე განსხვავდებიან, ამასთანავე ერთ და იმავე ადგილზე იმატებს ან ვარდება წლის დროის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიური მდგომარეობა ბევრად თუ ცოტად მყარია. (ფასების სტაბილიზაცია არის), მაშინ ყველა ამ გამოანგარიშებას წინა წლის ფასებზე ამყარებენ. მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს გასული საბიუჯეტო წლის ყველა ადგილობრივ ფასებიდან საშუალო ფასის აღება. დაახლოვებით ეს საშუალო ფასი შეიძლება იყოს ყველაზედ უფრო სარწმუნო წყაროდ; ამასთანავე, რასაკვირველია, საჭიროა სისტემატიურად ხდებოდეს სტატისტიკური ცნობების დაგროვება ფასების შესახებ და ძველ ცნობათა ახალით შესწორება.

როგორც ზემოდან სჩანს, ჯარის გამოსაკვებ საბიუჯეტო თანხის გამორკვევის დროს საჭიროა ვიცოდეთ: — გამოსაკვები რიცხვი, ულუფის ნორმა და სანოვაგის ფასები.

მაგრამ მხოლოდ ამ სამ ელემენტზე დამყარებული გამოანგარიშება არ იქნება ნამდვილი, ვინაიდან ამ რიგად გამოანგარიშებულ თანხას უნდა დაემატოს სხვადასხვა დამატებითი თანხა რომელიც ჯარის გამოკვებასთან არის დაკავშირებული, როგორც მაგ., სხვადასხვა სასურსათო საწყობში მომუშავე მუშების ქირა, ხორბლის გადაფქვა და პურის გამოცნობა კერძო დაწესებულებებში, სხვადასხვა საჭირო მანქანის შექმნა, შეკეთება და კონსერვაცია სხვადასხვა იარაღისა და ჭურჭლისა, გამოსახვევი და გადასაზიდელ საჭირო საგნების შესაძენი თანხები და სხ.

ზემო-აღნიშნული წესით ბიუჯეტისათვის საჭირო თანხების გამოანგარიშება უნდა სწარმოებდეს, მიუხედავად იმისა, ნატურით, რიჩალტური წესით თუ ორივე კომბინაციით არის ჯარი დაკმაყოფილებული.

რაც შეეხება გამოსაკვებად საჭირო თანხების დაცალკევების ფორმალურ მხარეს თვით საანგარიშო და სამეურნეო წესების გასაადვილებლად, საჭიროა, რამდენადაც შეიძლება, თანხები ნაკლებ იქნენ გაცალკევებული; რასაკვირველია, ყველაზე ადვილი იქნებოდა ერთ საბიუჯეტო ტიტულის თანხის ფარგლებში მათი მოთავსება, მაგრამ ეს კონტროლს აძნელებს. კონტროლის პრინციპი კი დამყარებულია, რაც შეიძლება თანხების გაცალკევებაზე და თავის დანიშნულების-დაგვარად მოხმარებზე.. ამისათვის ამ თანხის სხვადასხვა ბიუჯეტის ტიტულში მოთავსება უნდა ხდებოდეს ერთი მხრივ ისე, რომ თვით მეურნეობას არ აძნელებდეს და ამავე დროს კონტროლის ჩატარებაც ადვილი იყოს.

ენლა გადავდივარ მესამე ნაწილზედ ე. ი. ტანთსაცმელზე. ამ დარგის გასავალი დამყარებულია თვით ჯარის ორგანიზაციაზე, ან უკედ რომ ვსთქვათ, იმ ორგანოების მოწყობაზე, რომელთა მოვალეობას ჯარის ჩაცმა-დახურვა შეადგენს. მაგალ. ტანთსაცმელის განყოფილება შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ტანთსაცმელს( ქუდი, მაზარა, მუნდი-რი, შალვარი, ფეხსაცმელი და საცვალი); სხვა საგნები, როგორც მაგალითად ქვეშაგებელი (ლეიბი, ზეწარი, საბანი) შეიძლება ეძლეოდეს ჯარისკაცს ბინების მომწესრიგებელ განყოფილებიდან; საავადმყოფოსათვის საჭირო საცვალი კი სანიტარული განყოფილების მიერ. მაგრამ ამდაგვარი დანაწილება არ არის სასურველი. ტანთსაცმელის და ქვეშაგების შეერთება და მხოლოდ ინტენდანტურისათვის ამ საკითხის დაკისრება გააადვილებს საკითხის მოწესრიგებას და აგრეთვე საჭირო ადმინისტრაციის შემადგენლობის რიცხვს შეამცირებს. ბიუჯეტის სქემა წინასწარ შეიცავს და არკვევს, თუ რომელ განყოფილებაში იქნეს მოქცეული ტანთსაცმელის გასავალი.

ბიუჯეტში უნდა იქნეს მოქცეული შემდეგი გასავალი: —

1. ყოველ-წლიური შევსება ტანისამოსით ჯარისკაცების, მოწაფეების, საავადმყოფოების და სხვა დაწესებულების.

2. ტანსაცმლისით დოტაციები ახლად დაარსებული ერთეულები-სათვის და დაწესებულებებისათვის.

3. ტანსაცმლის კონსერვაციასთან დაკავშირებული გასავალი.

4. სხვა და სხვა გასავალი, რომელიც დაკავშირებულია შესყიდვასთან, წარმოებასთან, საწყობებში შენახვასთან და მათ განაწილებასთან.

ეხლა გადავიდეთ თვითეულ ზემო-აღნიშნულ საკითხზე და გავარჩიოთ ისინი.

ტანსაცმელით ყოველ-წლიური შევსება არის ჩვეულებრივი გასავალი, რომლის დანიშნულებაა იმდაგვარი და იმოდენი ტანსაცმელი ჩაბარდეს ერთეულს, რამდენიც საჭიროა ნორმალურ დონეზე დასაყენებლად. ამ გასავალის გამოანგარიშების დროს უნდა ვიცოდეთ: —

ა. ნორმა ტანსაცმელისა;

ბ. ნორმა თვითეული საგნის გამძლეობისა;

გ. თვითეული ტანსაცმელის ფასი;

დ. ჯარის შემადგენლობითი რიცხვი (თვითეულ მომხმარებელ ერთეულისა);

მუხლი ბ. არკვევს რა საგნები ტანსაცმელისა ეკუთვნის თვითეულ მომხმარე ერთეულს.

მომხმარე ერთეული შეიძლება იყოს: —

1. ფიზიკური ერთეული (ქვეითი, ცხენოსანი, არტილერიკოსი, მოწაფე სამხედრო სკოლისა, სათადარიგოდ მყოფი ჯარისკაცი, გასაწვრთნელად მოწვეული და სხვა).

2. ერთეული შემკრებლობითი. (რაზმი, საავადმყოფო და სხვა). იმ საგნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურ გამოწყობისათვის არ იხმარება და მხოლოდ განსაკუთრებულ საჭიროება-მიზნისათვის არის დანიშნული, როგორც მაგალითად, სადარაჯო ქურქები, სამუშაო ტანსაცმლის, მძიმე ავადმყოფებისათვის დამატებითი საბნები.

3. საგნის ერთეული. (როგორც მაგალითად, ერთი საავადმყოფოს საწოლის მთელი კომპლექტი).

ზემო-აღნიშნული ნორმები შეადგენენ ტანთსაცმელის დოტაციას რომელიც გამრავლებული მომხმარ ერთეულის შემადგენლობაზე, იძლევა ჯარისათვის საჭირო ტანთსაცმელის რაოდენობას.

მუხლი ბ. ყველა საგანს აქვს გარკვეული მინიმალური ხანა, რომლის განმავლობაში უნდა იხმარებოდეს ჯარში; ეს ხანა შეადგენს საგნის გამძლეობის ნორმას, რომლის საშუალებით გამოანგარიშებულია, რამდენი საგანი არის უკვე უვარგისი, დაცვეთილი და მაშ, რამდენი საჭიროებს ბიუჯეტის ხანაში შეესებას. მაგალითად, თუ ქუდს აქვს 24 თვის გამძლეობის ნორმა, ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი ბიუჯეტის ხანაში უნდა შეივსოს 50 პროც. ქუდებისა.

მუხლი ბ. რასაკვირველია, შესავსებ ტანისამოსის ღირებულებას გამოსაანგარიშებლად საჭირო ბიუჯეტის ხანისათვის, არის ფასები თვითეული ტანისამოსის შემადგენლობისა; ფასები უნდა იქნეს იმდაგვარად შედგენილი, რომ აქტუალური იყოს ბიუჯეტის რეალიზაციის დროს, ე. ი. უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რა ცვლილება შეიძლება მოხდეს თვით მატერიალის ფასებში, სამუშაო და სხვა. ავით ტანთსაცმელის მრეწველობაში და მის გარდაქმნაში.

მუხლი დ. შემადგენლობითი რიცხვი შეიძლება იქნეს აღებული ნამდვილი ანდა ეტატის მიხედვით, იმ საბიუჯეტო ხანაში, რომლისთვისაც ვაწარმოებთ ამ გამოანგარიშებას.

ამ ოთხი ელემენტის საშუალებით ე. ი. როდესაც იქნება გამოანგარიშებული ყოველ-წლიურად შესავსებ ტანთსაცმელისათვის საჭირო თანხა და მისი გამრავლებით მომხმარ ერთეულთ რიცხვზე, მივიღებთ საერთო თანხას, რომელიც იქნება მთელი ჯარისათვის საჭირო ყოველ-წლიურ შესავსებ ტანთსაცმელის ღირებულება.

ერთ ჯარისკაცზე ყოველ წელს ტანთსაცმელის შესავსებად საჭირო არის 369 ფრ. ფრანკი და 75 სანტიმი. აქ დაახლოვებით არის ნაანგარიშები, ვინაიდან ტანთსაცმელის სიაში არ არის მთელი კომპლექტი.

საბიუჯეტო პრელიმინაჟში შეიძლება შეტანილ იქნეს ცალ-ცალკე თანხა საჭირო საგნების შესაძენად. შეიძლება ყველა საჭირო საგნის

საერთო თანხა პრელიმინაჟში იქნეს მოძღვანებული; ამ შემთხვევაში, ბიუჯეტის რეალიზაციის დროს უფრო მეტი თავისუფლება რჩება და შესაძლოა ერთი საგნის მომჭირნეობით მეორე საგანი იქნეს შეძენილი. ახალ შემდგარ ერთეულებისათვის საჭიროა დოტაციები. თუ მომავალ საბიუჯეტო ხანაში მოსალოდნელია ახალი ფორმაციების შექმნა, საჭიროა ამ ახალი ერთეულებისათვის მთელი დოტაციის ღირებულების მოთავსება საბიუჯეტო პრელიმინაჟში.

ერთეულებში, ტანთსაცმელის კონსერვაციისათვის საჭიროა თანხა. სამხედრო ნაწილები ვალდებული არიან ჯეროვანად შეინახონ მათთვის მინდობილი ტანთსაცმელი. საჭიროა სახელოსნოები ტანთსაცმელის და ფეხსაცმელის შესაკეთებლად. ამ სახელოსნოებისათვის საჭირო გასავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელოსნოებში მომუშავე პერსონალი შესდგება კერძო თუ სამხედრო პირებისაგან; აგრედვე სახელოსნოების დანიშნულებას შეადგენს მარტო შეკეთება თუ სრულიად ახალი ტანი-სამოსის და ფეხსაცმელების შეკერავა-გამზადება.

სახელოსნოებისათვის საჭირო თანხები შესდგებიან: —

1. მომუშავეთა თანხებიდან
2. ახალი საკერავი მანქანების და სხვა საჭირო იარაღებისათვის შესამოსის და ფეხსაცმელების შეკერავა-გამზადება.
3. საჭირო მასალის (მუდი, ტყავი, ლურსმანი, ძაფი, ნემსი, დასაველი ცოცხები, ზეთი, ქონი ფეხსაცმელის საწმენდათ და სხვა და სხვა) შესაძენად გადადებულ თანხებიდან.

4. სხვა და სხვა გასავალი, რომელიც დაკავშირებულია შესყიდვასთან, წარმოებასთან, საწყობების შენახვასთან და მათ განაწილებასთან.

ამ გასავალში შედის ხარჯები დაკავშირებული აუქციონის ჩატარებასთან და სხვა და სხვა ქარხანაში არსებულ ზედამხედველთა და მიმღებ კომისიათა ხარჯები, ლაბარატორიების შენახვა (ლაბარატორიები მასალის მიღების დროს სხვა და სხვა ანალიზს აწარმოებენ, რომ გამოარკვიონ ქიმიური მხრივ, მისაღები მასალა, საგნის აღწერილობის მოთხოვნილებას თუ აკმაყოფილებენ.). საწარმოო სახელოსნოების შესანახი თან-

ნა, კონსერვაცია ამ აწყობებში, გასავალი მასალა, გადასაზიდავი ფასები და სხვა.

ეს გასავალი შეიძლება აღრიცხული იქმნეს წარსულ საბიუჯეტო წლების საშუალო ციფრების თანახმად.

რაც შეეხება ბინას და მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას, იგი შეიძლება სამგვარ გასავალად გავანაწილოთ.

ა. რიჩალტებთან,

ბ. ნატურით,

გ. კრედიტებით.

ვეცდები თვითნებურ მათგანს შევეხო ცალ-ცალკე და რაც შეიძლება უფრო გავაშუქო მათი მნიშვნელობა.

რიჩალტი, როგორც წინად უკვე მოგახსენეთ, ნიშნავს სამხედრო მინისტრის მიერ მინიჭებულ განსაზღვრულ თანხას ადმინისტრაციული აღნიშნული საჭიროების ნორმაში. რიჩალტის დანიშნულებაა, რაც შეიძლება მეტი გაუმჯობესება შეიტანოს ადმინისტრაციული ერთეულის მეურნეობაში და ამიტომაც სამხედრო უწყება სცდილობს მეტი დარგები გადაიყვანოს რიჩალტური წესით დაკმაყოფილებაზე. ამ წესით დაკმაყოფილების დროს ადმინისტრაციული ერთეულის უფროსს ეძლევა უფლება თავისი შეხედულების-და-მიხედვით თანხის განკარგულებაზე და თვით სასყიდი ნივთის ამორჩევაში; მხოლოდ ნასყიდი ნივთი საგნის ტექნიკურ აღწერილობას უნდა აკმაყოფილებდეს; ამასთანავე, ნაყიდი საგნის ფასები, საერთო ბაზრის ფასებს არ უნდა აღემატებოდეს. უმეტეს ნაწილად ამ განყოფილებაში, რიჩალტური წესით აკმაყოფილებენ შემდეგ გასავალს: —

1. წვრილმანი რემონტი და კონსერვაცია უძრავი ქონებისა, აგრეთვე ქვა-ფენილებისა და ყორეებისა, რომლებიც თვით შენობათა კონსტრუქციულ ცვლილებებს არ გამოიწვევენ. უფრო რთული და თვალსაჩინო რემონტებს სამხედრო სამინისტროს საინჟინერო-აღმშენებლობის განყოფილება ახდენს. გამოანგარიშებას აწარმოებენ წინდაწინვე

სამხედრო მინისტრის მიერ დამტკიცებული ფასების მიხედვით, რომელიც არის დამყარებული 1 კუბ. მეტრ შენობისაზე.

2. წვრილმანი რემონტი და კონსერვაცია სინათლისა და კანალიზაციის სხვა და სხვა მოწყობილებისა;

3. რემონტი და კონსერვაცია სწარმოებს 1 კუბ. მ. შენობისაზე; იარაღისა, რომელიც გამოიხატება სხვა და სხვა ცეცხლ-მქრობ იარაღის წვრილმან ნაწილების გამოცვლაში, უკვე დამტკიცებული ფასების თანახმად.

ბუხრების შესაკეთებელი და გასაწმენდი თანხა, რომელიც არის აღრიცხული დამტკიცებული ფასების თანახმად, ერთი ბუხრის გაწმენდა-რემონტის ფასის მიხედვით.

5. ასენიზაცია, რომელიც გამოიხატება ყაზარმების მიდამოში ყოველივე სიბინძურისათვის არსებული ორმოების გაწმენდაში.

6. გასათბობი მასალა. ვინაიდან გასათბობი მასალას დახარჯვა დამყარებულია თვით ბინებზე და ბუხრებზე, ამიტომაც უნდა იქნეს განაწილებული რამოდენიმე ჯგუფად. თვითეულ ჯგუფზე არის დანიშნული გასათბობი მასალის რაოდენობა 1 კუბ. მ. შენობაზე და გამოანგარიშებული უკვე დამტკიცებული ფასების მხედველობაში მიღებით. ცალკე ჯგუფს შეადგენს სამზარეულოებისათვის საჭირო გასათბობი მასალა, რომელიც გამოანგარიშებულია ჯარისკაცების რაოდენობის მიხედვით.

8. სინათლე გამოანგარიშებულია დაახლოვებით ისე, როგორც გასათბობი მასალის ღირებულება. გამოსაანგარიშებელ ელემენტად ჩაითვლებიან: — ერთ საათში საჭირო ელექტრონი, გაზი ან ნავთი 1 კვ. მ. იატაკზე, გამრავლებული წლიური საათების რაოდენობაზე. ელექტრონის ფასი აღრიცხულია კილოვატებით, გაზი კუბ. მ. და ნავთი კილიტრებით.

9. წყალი. წყლისათვის საჭირო თანხა დამყარებულია ჯარისკაცების რაოდენობაზე, საექიმო პერსონალის შემადგენლობაზე, ცხენებზე, თანკებზე, ავტომობილებზე, ჰაეროპლანებზე და სხვა. იგი განიყო-

ფეხა შემდეგნაირად: — ინდივიდუალურად, საკონსერვაციო, სარწყავ და პურის გამოსაცხობად.

ღირებულების გამოანგარიშება სწარმოებს სამხედრო მინისტრის მიერ დადგენილ წლიური კვ. მეტრების რაოდენობა ერთეულზე, გამრავლებული პიროვნული შემადგენლობის ან საგნის -რიცხვზე.

10. ყაზარმებში საწყობებში და მათ მიდამოებში სიწმინდის დასაცავად, რომლისათვისაც საჭიროა მუშების დაქირავება და აგერთვე ამ საკითხის მოსაწესრიგებლად სხვა და სხვა საჭირო საგნების შეძენა: ცოცხებისა, საპონისა, სოდისა და სხვა.

ან მიზნისათვის სამხედრო უწყების მიერ გაღებული თანხა დამკარგებულია ზემოაღნიშნული შენობების რაოდენობაზე.

11. კონსერვაცია საველე სამზარეულოთა, სათადარიგო ქვაბებისა და კონსერვებისა, რომელიც არის გამოანგარიშებული ამ საჭიროებისათვის არსებული ნორმების თანახმად.

12. ლეიბებისათვის საჭირო თივა, რომელიც არის გამოანგარიშებული თვითეულ ჯარისკაცზე, მიღებული წლიური ნორმის თანახმად.

13. საკანცელარიო რიჩალტი.

ზემო-აღნიშნული რიჩალტების გარდა, ერთეულები და დაწესებულებანი არიან დაკმაყოფილებული ნატურით ან კიდევ კრედიტით, შემდეგ მოთხოვნისათვის დასაკმაყოფილებლად: —

ყაზარმების, დაწესებულებების, საავადმყოფოების, სასამართლოების და სასადილოების ავეჯეულობით მოწყობა, საველე კარავების შეძენა, საწერი და საანგარიშო მანქანები, ბეჭდები, ტექნიკური მიზნისათვის საჭირო ნავთი, ბენზოლი, ბენზინი, ტელეფონები, ტელეგრაფი, ჯარის საველე მაცადინობის დროს დროებით დასაბინავებელი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტი არას გაცემული, დაწესებულებანი, რომელთაც იგი მიიღეს, ვალდებული არიან ამ თანხის გამღებ ორგანოებს დაწვრილებითი ანგარიში ჩააბარონ. დარჩენილი თანხა კი უკან დაუბრუნონ. ეკონომია და მომჭირნეობა, რომელიც რიჩალტური სისტემის

დროს შეიძლება იქნეს, მიმდინარე ბიუჯეტის წლის ბოლოს არის გა-  
დატანილი მომავალი წლისათვის ამ დარგისავე რიჩალტის დასაკმაყოფი-  
ლებლად; ნაწილი კი გადადის ადმინისტრაციული ერთეულის ფონდე-  
ბის გასაძლიერებლად. ეს ფუნდები იმყოფება ადმინისტრაციული ერ-  
თეულის უფროსის განკარგულებაში და მისი დანიშნულება შინაური  
მეურნეობის გაუმჯობესებაა და ერთეულის სხვა და სხვა კულტურულ  
მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

თვით სამხედრო მინისტრი თავის განკარგულებაში აღნიშნავს, რა  
მოთხოვნილება როგორი წესით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. მე აქ  
აღვნიშნე დაჯგუფებანი, რომელნიც უმეტეს სახელმწიფოებში არსე-  
ბობენ. ადვილი შესაძლებელია, ამ საკითხების მოგვარებაში ცვლილება  
იქნეს შეტანილი.

აქამდე გვქონდა ლაპარაკი საინტენდანტო ბიუჯეტის გასავალზე.  
ეხლა რამოდენიმე სიტყვაც იმ შემოსავალზე, რომელიც ინტენდანტუ-  
რის დარგიდანაა.

შემოსავალი გასავალთან შედარებით შეადგენს ძლიერ მცირე თან-  
ხას, რომელზედაც თითქმის არც კი ღირს ლაპარაკი.

ინტენდანტურის საბიუჯეტო უმთავრეს შემოსავალს შეადგენს თა-  
ნხები: — სახელმწიფო შენობებში, ოფიცრების და მოხელეების ბი-  
ნებში დახარჯულ ელექტრონის ძალის, გაზის და წყლის ამანახლაურე-  
ბელი ფასები; ფასებში გაცემული სურსათისაგან შემოსული თანხა, სა-  
სჯელები და ბეები კერძო პირების მიერ ხელშეკრულებათა შეუსრუ-  
ლებლობის გამო, დაკარგული ნივთების ანახლაურება, გაყიდული ნივ-  
თებისაგან შემოსული თანხები და სხვა წვრილმანი, რომელთა აქ აღ-  
ნუსხვა ძნელია.

ამით ვათავებ ინტენდანტურის ბიუჯეტის საკითხს და თუ კი მკი-  
თხველი ამ ჩემს წერილებიდან რაიმე სარგებლობას გამოიტანს, დიდი  
კმაყოფილი დავრჩები; ამასთანავე დავუმატებ, რომ სახელმწიფო ვალ-  
დებულება, რაც შეიძლება მაღალ დონეზე დააყენოს ჯარის ყოველმხრი-  
ვი დაკმაყოფილება, თუ სურს დამოუკიდებელი არსებობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ცუდათ შეიარაღებული, ჩამოვლევჯილი, მშვიერი, მცირე-ჯამაგირიანი ჯარი არავითარ საშიშროებას მტრისათვის არ წარმოადგენს, არამედ ბანდას, რომელიც თვით სახელმწიფოს არსებობისათვის და საზოგადოებისათვის საშიშია.

რასაკვირველია, როგორც უკვე მქონდა ამაზე ლაპარაკი, ყველა ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა დიდი თანხა, რომელიც სახელმწიფომ უნდა განიღოს, ვინაიდან, საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს, ძალაზე და არა სამართლიანობაზე იქნება დამყარებული თვით ერის არსებობის საკითხი.

ბი — ნა ქუ — ლაძე

## ჯ ა რ ი ს ა ლ ზ რ დ ა და წ ვ რ თ ნ ა

თანამედროვე ომის მოთხოვნების მიხედვით ერთ უდიდეს შრომას წარმოადგენს ჯარის მომზადება, მომზადება იმ მხრივ, რომ ჯარმა შესძლოს ყველა იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელსაც ომი უყენებს. წარსულ ხანასთან შედარებით, ჯარისკაცის მომზადებაში ომისათვის წარმოიშვა უაღრესი განსხვავება, რომელიც სრულებით სხვა პირობებში აყენებს, როგორც ჯარის აღმზრდელთ და განმანათლებელთ, ეგრეთვე თვით ჯარში გაწვეულთ. და ამ შრომას, რომელმაც შესაფერი მოთხოვნების ნაყოფი უნდა გამოსცეს, საჭიროა მიექცეს შესაფერი ყურადღება, რათა ჯარმა და ერმა შესძლოს ომის წარმოება და გამარჯვებით გამოსვლა ყოველ განზრახულ თუ თავზე მოხვეულ საბრძოლო მოქმედებებისაგან.

ომის საწარმოებლად ჯარისა და მოქალაქეთა აღზრდისათვის სამზადებელ ერთადერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს სკოლას წარმოადგენს მშვიდობიან დროს სამხედრო სამსახური. მოქალაქეთა კი ამ მხრივ მომზადება შესაძლებელი ხდება ორი გზით: — ჯარში სამსახურის დროს აღზრდით და წვრთნით.

სამხედრო აზრდას აქვს მიზნად სახელმწიფო-მოქალაქობრივი შეგნების განვითარება ყოველ ჯარში გაწვეულ მოქალაქესთვის, იმ შეგნების, რომელიც არის გამაღვიძებელი მორალურ თვისებათა ფუძის, რასაც ეკუთვნის სამშობლოს სიყვარული, სინიდისიერება და თავმოყვარეობა, მხნეობა, სითამამე და სიყვარული საკუთარ ერთეულისა, რომელიც ტადარია მოვალეობათა შეგნებისა.

სამხედრო წვრთნა კი ანიჭებს ყოველ მოქალაქეს: —

1). ცოდნას ტექნიკური ხმარებისა და ნაყოფიერად გამოყენების ყოველგვარ იარაღისა და ყოველ პირად ან საერთო საშუალებების ბრძოლის ველზე.

2). თანამედროვე ბრძოლის ფორმების შეთვისებას.

3). დამოუკიდებლად მოქმედებას და საბრძოლო თანამშრომლობის შეძლებას მცირე გროვათა ფარგლებში.

ომისათვის მოქალაქეთა ეს მომზადება სწარმოებს მათი ჯარში ნორმალური სამსახურისას და სათადარიგოდ ყოფნისას.

ჯარში ნორმალური სამსახურის ხანა არის ხანად სამხედრო აღზრდისა და გაწვრთნისა ბრძოლის ნაციონალურად წარმოებისათვის. სათადარიგო სამსახურის დანიშნულებას კი წარმოადგენს განმტკიცება და შენარჩუნება იმ სამხედრო ცოდნისა, რომელიც მიღწეული და შეძენილი იყო ყოველი ჯარისკაცის მიერ ნორმალური სამსახურის დროს და აგრედვე გაცნობა ყოველი ახალი ცვლილებებისა ორგანიზაციის, ბრძოლის წარმოების ხერხების, ან კიდევ ახალ შეიარაღების და მოკავშილეობის დარგში.

აღზრდა და წვრთნა იმდენად არის ერთმანეთთან გადაბმული, რაჟი

თითქმის შეუძლებელი ხდება მათი ცალ-ცალკე გამოყოფა და ეს ფუძე, მოქალაქეთა მიერ თანაბრად შეთვისებული, იძლევა ღირსეულ ჯარისკაცს და სახელმწიფოს გულშეგს.

ჯერჯერობით, საზოგადოთ უნდა ველოდეთ, რომ ჯარში გაწვეულ მოქალაქეთა უმეტეს ნაწილს ექნება ძალიან სუსტად განვითარებული ან კიდევ სრულებიდაც არა — სახელმწიფოებრივ-სამოქალაქო მოვალეობათა შეგნება, რომელიც აუცილებელია ყოველი მოქალაქესათვის. ხშირად კი შეხვედებით ისეთებს, რომელთაც წინაუკმოდ ექნებათ გადაქარბებული წარმოდგენა სახელმწიფოს მოვალეობათა შესახებ თვითეული მოქალაქის მიმართ.

ამის გამო ერის და სახელმწიფოს ღირსეულდამცველთა და შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდაში ყოველი ხარისხის უფროსის მოვალეობად უნდა იყოს ღრმა შეგნებით მიდგომა ამ მოქალაქოებრივ სულის გაღვიძება-განვითარებაში ყოველ ჯარისკაცისვე გრძნობისადმი, რომელიც ან უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა ოჯახში ან კიდევ სიბნელისა და შეუგნებლობის შედეგად არის.

ჯარში აღმზრდელთა მისწრაფება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველი ჯარში გაწვეული თავისი ნორმალური სამსახურის დამთავრების შემდეგ, ბრუნდებოდეს შინ არამც თუ კარგად გაწვრთნილ მხედრად, არამედ მოქალაქედ, რომელსაც შეგნებული აქვს, როგორც პირადი, ისე ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ მოვალეობა; ამასთანავე, მას უნდა გააჩნდეს ნამდვილი ეროვნული გრძნობა და შეგნება, სიყვარული და პატივი ყოფილ მათ აღმზრდელ უფროსებისა და ნაწილებისადმი.

ყოველი უფროსის აღმზრდელობითი ნიქს და უნარს, განსაკუთრებით ოფიცრისას, აქვს უდიდესი გავლენა აღზრდის შედეგებზე. პირად მაგალითსა და გავლენას, ყოველი ჯარისკაცის პირადი საკითხებით წრფელ დაინტერესებას, გულმოდგინე ზედამხედველობას და ზრუნვას მათზე სანსახურის დროს და სამსახურს გარედაც — ამ უეჭველად ფრი-

ად ძნელ შრომას შეუძლია მხოლოდ მიგვიყვანოს ჯარისკაცის აღზრდის ნაყოფიერ აუცილებელ დონემდე. უფროსს არ შეეძლება კარგად სწავლება და სათანადოთ შესრულება აღმზრდელის დანიშნულებისა, თუ კი არ ექნება შეთვისებული ხერხი ადამიანთა ბუნებისადმი მიდგომისა, რაიც უნდა ემყარებოდეს ცხოვრების დაკვირებას და გამოცდილებას და ამ ჟამად ჯარში შემოღებულ, ფსიქო-ტეხნიკურ ცდების შედეგებს.

ყოველმა უფროსმა, ჯარისკაცის აღზრდისას, უნდა შეაგნებოს მას რომ უფროსს, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს მხოლოდ ქვე-შევრდომთა სიკეთე, რომ ყოველ მათ მიერ მიწვედომილ ცნობებს და დარიგებებს მიზნად აქვს მათი შეგნების აწევა და განვითარება, რომ სამხედრო სამსახური ამზადებს მათ სახელმწიფოს დაცვისათვის, აწვედის ყოველ აუცილებელ ცოდნას და ფუძეს ფიზიკურ და მორალურ ძღვევის მოსაპოვებლად ბრძოლაში მოპირდაპირეზე, თუნდაც რიცხობრივად მეტზე, რომელიც ბედავს ხელი შეახოს ჩვენს სახელმწიფოს.

უფროსების მიერ ჯარისკაცთა პატივის და ნდობის მოპოვების საშუალება არის მუდმივი ზრუნვა ჯ.-კაცებზე, მათ კვებაზე, ჩაცმა-დახურვაზე, ფიზიკურ და მორალურ მტკივნეულებაზე, ყოველ ნაბიჯზე გულწრფელ გრძნობების ჩვენება და დაინტერესება მათი ცხოვრებით, მათი ოჯახური და ქონებრივი საკითხებით და შესაფერისად კველა ამაში რჩევის გაწევა.

ანგვარი ზრუნვის დროს დავიწყებული არ უნდა იყოს, რომ ომი მოითხოვს მაგარ და მტკიცე ხასიათით აღჭურვილ ხალხს და ასეთი ხასიათი კი ომისათვის უნდა გამოიმუშავებულ იქმნას უკვე მშვიდობიან დროს.

სილბილე, გულჩვილობა, ყოყმანი ყოველ ცოტათი ძნელ და დამქანცველ სამსახურის დროს და ფიზიკური ჯაფის აუტანლობა სასიროცხოდ უნდა იქმნეს მიჩნეული. ამ მოვლენას უნდა ლაგმავდეს მუდამ პირადი მაგალითი ნაცვალთა და მეტადრე ოფიცრებისა, რომელნიც დამქანცველი ფიზიკური ჯაფის შემდეგ, მარდად და ცოცხლად უნდა

უდგებოდენ შრომას სამსახურისა და ერთეულის სასარგებლოდ.

დიდ მნიშვნელოვან აღმზრდელობით არსად, ჯარისკაცთა მიერ ხალისით ყოველი შრომის შესრულების დროს, არის მათი ხასიათის განწყობილება-გუნება. უფროსები უნდა ხმარობდენ ყოველ შესაძლებელ ხერხს და საშვალებას ამ განწყობილების გამოსაკეთებლად. მუდამ სასურველ, მხიარულ განწყობილებაში მოქცევა ჯარისკაცთა თავდებია მათ მიერ ხალისიანად თავისი მოვალეობის შესრულებისათვის. ამასთანავე, წვრთნისა და მეცადინობის დროს უნდა ვცდილობდეთ მათში გაიღვიძოს კეთილშობილურმა ჯიბრმა, რომ ყოველი ჯარისკაცი ამით გატაცებული ხალისით საუკეთესოდ ასრულებდეს მინიჭებულ დავალებათ, რაიც თავიდან გვაშორებს მექანიკურად მოქმედებას ყოველ საქმიანობაში და სამაგიეროდ კი ანვითარებს თაოსნობას.

ამრიგად მიღწეული იქნება დამშვიდებულად მოქმედების უნარიც და ნერვიულ სისტემაზე ბატონობა. ჯარისკაცთათვის ყოველი დავალების მინიჭებისას, უფროსს უნდა ჰქონდეს მხედველობაში მათი შეგნების გაღვიძება, რომ ამ რიგად მათში გამომუშავებულ იქნეს დამოუკიდებლად მოქმედების უნარი. აქ უნდა ვცდილობდეთ, რომ ჯ.-კაცი რომელიც მიიღებს დავალებას შესასრულებლად, სხვადასხვა სიძნელეთა და დაბრკოლებათა გამო არ ეცემოდეს სულით და არ იყოს პასიური, არამედ შესძლოს აღმოჩენა იმ ხერხისა, რომელიც, თუმცა შესაძლებელია, არ იყო ნაჩვენები უფროსის მიერ, მაგრამ რომელიც მიიყვანს მას მიზნამდე. ცნობილია, რომ ყოველი მოქმედება, წარმოებული ინტელექტის თანამშრომლობით, იძლევა სასურველ შედეგს უფრო ადრე, და უკეთესად, ვინემ იგივე, შესრულებული მთელი სიზუსტით ავტომატისა, ადამიანის სულის გრძნობების აუტომუშავებლად.

ჯარისკაცის ინტელექტის განვითარების ყველაზე მარტივ საშუალებად, რომელიც იძლევა აგრედვე შრომის შედეგების შემჩნევის საშუალებას, არის შინაგან სამსახურის მოქმედებათა ფარგლები, შევსებული განმანათლებელი შრომით. ამის გამო, შინაგანი სამსახურის შეს-

წავლას და განმანათლებელ შრომას უნდა ჰქონდეს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, მეტადრე წვრთნის პირველ ხანაში, ვინაიდან ვინაიდან ამ ხანაში ეყრება საფუძველი ჯარისკაცის სულის ჩამოყალიბებას. შემდეგი განათლება კი უნდა წარმოებულ იყოს ჯარში სამსახურის მთელი ხნის განმავლობაში ყოველი ჯარისკაცის ინდივიდუალურ დადებითი თვისებების სრულყოფილებისათვის და აგრედვე კრებულთა დადებით თვისებების შექმნისათვის, რაიც უნდა ემყარებოდეს შეგნებას, რომ სამსახურში თუ სამსახურს გარედ, უფროსების თვალწინ თუ მის გარეშე, ჯარისკაცი წარმომადგენელია არამც თუ მხოლოდ საკუთარი პიროვნებისა, არამედ ნაწილისა, რომელშიაც იმყოფება და უცხოელთათვის კი თვით ერისა და სახელმწიფოსი და მისი ღირსეული დამცველისა.

განმანათლებილი შრომა უნდა წარმოებულ იქმნას შინაარსიანი ბაასის და გაკვეთილების სახით. იმ მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც აქვს ამგვარ ბაასებს ჯარისკაცების აღზრდაში და თვით ბაასის გვარის მიხედვით, უნდა წარმოებულ იყოს ის არსებითად პირად უფროსების მიერ (გუნდის, ესკადრონის და ბატარეის უფროსების მიერ). ყოველი ბაასი მათ მიერ წინდაწინვე უნდა იქნეს მომზადებული. მომზადება აუცილებელია, რათა უფროსებს ნათლად წარმოდგენილი და გარკვეული ჰქონდეთ განზრახვა და აზროვნების თანდათანობის დამყარება. ყოველი აღმზრდელ-განმანათლებელი ბაასი უნდა დამუშავებულ იქნას საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილების მიხედვით, და წარმოებულ იქნას ხალისით და საინტერესოდ; ამასთანავე უნდა ვერიდებოდეთ მშრალ მონოტონურ კითხვითი ლექციებს.

ბაასის წარმოების ყველაზე მეტად ნაყოფიერი და სარგებლიანი წესი არის გონებრივი თანამშრომლობა ჯარისკაცებთან ბაასის ლოდიკური დალაგების შენარჩუნებით; სწავლების გარეგან ფორმას არა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა, ვინაიდან თვით ფორმა საგნის არსს არ წარმოადგენს.

ჯარისკაცთა კეთილ თვისებების შექმნა, როგორც მხნეობა, სიყნობა, ჩაღბა, თაოსნობა, მორჩილება, სიზუსტე, მოვალეობის, ჰონორის და თავ მოყვარეობის შეგნება, ხალისი და სითამამე პასუხისმგებლობისა მინიჭებულ მოქმედების ფარგლებში, ჰატივისცემა მმართველთა, სახელმწიფო და კერძო ქონებისა და სხვა ამგვარი, მოთხოვნის ცხოვრების დიდ გამოცდილებას და უნარს, რათა ნაყოფიერად დამყნილ იქმნეს ეს თვისებანი ჯარისკაცის სულზე. მთავარი საშუალება ამ თვისებების გამო-მუშავებაში მშვიდობიან დროს არის საყარაულო სამსახური, რის კარგად და წესიერად შესრულებას უნდა ექცეოდეს უდიდესი ყურადღება.

მნიშვნელოვან არსად აგრეთვე, რომელიც ასრულებს აღმზრდელობითი შრომას, არის მუშტრა, რაიც უნდა იყოს მხოლოდ საშუალებად და არა მიზნად. ეს ჰქმნის დისციპლინას და მორჩილებას; ამასთანავე, იგი აძლევს ჯარისკაცს შესაფერის გამოხედულებას, მუდამ ერთნაირს, როგორც სამაცადინო ველზე, ისე ყოველ სხვა მუშაობაში და მოქმედებაში.

კარგად შეთვისებული დისციპლინა, რომელიც გამოსჩანს გარეგნულად, მექანიკურად, არის ნაწილზე ბატონობის მოპოვების საუკეთესო საშუალება უეცარ და მოულოდნელ საშიშროების და არეგდარევის დროს, და გარდა ამისა ჰქმნის შეგნებას ძალისა, ღირებულებას და კუთვნილებას ყოველი გროვისა, როგორციაა ჯარის ერთეული — ნაწილი. ადამიანის საერთო ღირსებაზე მუდამ დიდ გავლენას ახდენს მისი გარეგნული შეხედულება და უნარი შესაფერად თავის დაჭერისა და ამიტომაც დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული თვითეული ჯარისკაცის და ნაწილების გარეგნობასაც, რაიც თავდება მათი ღირსებისა.

მაშ, ადამიანის საუკეთესო მეზრძოლად შექმნა და სახელმწიფოს ღირსეულ მოქალაქედ გამომუშავება უნდა წარმოებულ იქმნას აღმზრდელ საშუალებათა დახმარებით, უწინარეს ყოვლისა შინაგან სამსახურით ჯარში და განმანათლებელი შრომით, შემდეგ მუშტრითა და

ვიზიკური ვარჯიშობით. ამრიგად მომზადებული ელემენტებისათვის ხანდათანობით სპეციალურ-ტექნიკურ და საბრძოლო ცნობების მიწოდება გამოსცემს სასურველ ნაყოფს, კარგად მომზადებულ, თავის დაწინაურებისა და მიზნის შეგნებულ ჯარისკაცის და მოქალაქის სახით. ძორალური ღონე კი ჯარისა დამოკიდებული იქნება უმეტესად ოფიცრების და ნაცვლების პირად მავალითზე ყოველი მხედრის და ნაწილის გარეგნულ შეხედულებისაგან, დისციპლინაზე, იდეურობა, ამტანლობა და სამხედრო აუცილებელი ცოდნის შეთვისებაზე.

შევეხით მაშ ეხლა თვით წვრთნას. თანამედროვე ბრძოლა მოითხოვს იმდენად დამოუკიდებელ მოქმედებას ყოველი ჯარისკაცისაგან, რომ წვრთნის ფუძედ ხდება თვითეული ჯარისკაცის მომზადება.

თვითეული ჯარისკაცის წვრთნას მაშასადამე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და უნდა იწარმოოს მათ ჯარში სამსახურის მთელი ხნის განმავლობაში.

ამასთანავე ეს წვრთნა არ უნდა ემყარებოდეს ყოველგვარ ცნობების მეხსიერებითი შეთვისებას, ვინაიდან ამ რიგად შეთვისებული ცოდნა ადვილად ეცემა დავიწყებას. ეხლანდელ დროში აუცილებელია, რომ ჯარისკაცმა გამოიწვრთნას თავისი გრძნობები, განივითაროს გონება და შეგნება და ამასთანავე შეითვისოს ტექნიკური წვრთნა ისე, რომ თადარიგიდან გაწვევისას იარაღის ქვეშ, უმცირეს ხანაში შესძლოს თავისი ცნობების ის ნაკლი შეავსოს, რომელიც წარმოიშვა შეიარაღების დარგში წინსვლის მიზეზით, ბრძოლის წარმოების ხერხების განვითარებით და სხვა.

ჯარისკაცს უნდა განევითაროს დამოუკიდებლად აზროვნება და თაოსნობა, დავალებების შესრულების ხერხის გადაჭარბებითი კრიტიკის თავიდან აცილებით. შემსრულებელთ არ უნდა ეხვევოდეს თავზე შესრულების ხერხი, ვინაიდან ამ ემთხვევაში გახდებიან ისეთ პირებად, რომელნიც მოკლებულნი იქნებიან თვითმოქმედებას, რომელნიც მუდამ შემცქერნი იქნებიან თავიანთ უფროსების, მათგან ხსნის მოლო-

დინში. ამასთანავე ყოველი მწვრთნელი უნდა სცდილობდეს არ დააქ-  
ციმოს ზედმეტად ჯარისკაცის გონება ისეთი ცნობებით, რომელთაც  
ბრძოლაში არ აქვთ არსებითი ღირებულება გამოსადეგობის თვალსა-  
ზრისით.

წვრთნა უნდა სწარმოებდეს პრაქტიკულ მეცადინობათა დახმარე-  
ბით. ყოველი მეცადინობის დაწყების წინ ჯ.კაცებს უნდა ეცნობოს მე-  
ცადინობის საგანი. ყოველი აუცილებელი თეორიული ცნობა უნდა მი-  
აწოდონ მხოლოდ ამ წარმოებულ მეცადინობათა შესავსებად და არ  
უნდა იქმნას ამისათვის დაარსებული განსაკუთრებული თეორიული გა-  
კვეთილები. ტაქტიკის დარგიდან აუცილებელ ცნობების მიწოდება უნ-  
და სწარმოებდეს თვით მეცადინობის დროს და მხოლოდ გამონაკლის  
შემთხვევებში მოკლე ბაასის სახით მეცადინობის შესავსებად.

წვრთნა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ჩვენების მეთოდს და  
ჩვენება უნდა ხდებოდეს მუდამ, როდესაც კი შესაძლებელია ამით თე-  
ორიული გაკვეთილების მაგიერობის გაწევა და საგნის გაგების გაად-  
ვილება. მაგალითად: მიდამოს შესწავლა, ჭურვების მოქმედების ახ-  
სნა, ბერას სამსახურის ახსნა-სწავლება და სხვა, გამოსცემს უკეთეს ნა-  
ყოფს და გაცილებით მოკლე ხანის განმავლობაში იქნება შესწავლილი  
ჯარისკაცის მიერ, თუ მათ არეზე ვუჩვენებთ ყოველგვარ მიდამოს და  
ხერხს მისი შეთვისებისა და გამოყენებისა, ჭურვების მოქმედებას და-  
ვანახვებთ სროლის წარმოებით და ბერის სამსახურს ვაჩვენებთ მეცადინ-  
ობის სახით, რომელიც შესრულებული იქნება უკვე გაწვრთნილი ნა-  
წილის მიერ. ჩვენების წინ უნდა მუდამ ახსნილი იყოს მისი მიზანი და  
მის მსვლელობისას უფროსის მიერ უნდა სწარმოებდეს ყოველი მოვ-  
ლენის და შემთხვევის ახსნა.

საბრძოლო დარგში წვრთნა უნდა იწყებოდეს ყოველი მეცადინობის  
თანდათანობითი ჩვენებით. ყოველი მეცადინობა შესრულებული უნდა  
იყოს გაწვრთნილი ნაწილის მიერ, ან კიდევ ამის მაგივრობა შეუძლია  
გასწიოს ფილმებმა, თუ კი რასკვირველია, ნაწილს ასეთები გააჩნია. ეს

ჩვენება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც საშუალება ყოველი მუშაობის ახალი დარგის ახსნისას და არ შეიძლება ამით მაგივრობის გაწევა თვით არსებით წვრთნისა.

ყოველი ჩვენება უნდა შეიცავდეს მთლიანად საბრძოლო მოქმედების რომელიმე გარკვეულ ეპიზოდს. წვრთნა კი ამავე მოქმედებისა იქნება უფრო თანდათანობითი, შემდგარი მთელი რიგი ერთმანეთის მიმდევარ მეცადინობებისაგან.

მაგალითად: — ჩვენება შეტევის იძლევა წარმოდგენას მთელ შეტევაზე მთლიანად, გამოსავალ პოზიციებიდან მოყოლებული დაპყრობილ მიდამოს დაკავებამდე. წვრთნა კი ამავე მოქმედებისა დაყოფილ უნდა იქმნას მთელ რიგ ცალკე მეცადინობად, როგორცაა: გამოსავალ პოზიციების დაკავება, წინსვლა ცეცხლის დაწყებამდე, სვლა საკუთარი ცეცხლის დახმარებით, იერიში და ბრძოლა მოპირდაპირის დაჯგუფების შიგნით, დაკავება დაპყრობილი მიდამოსი. ჩვენების ღირსება ემყარება ბრძოლის რომელიმე სახის ან კიდევ მისი ფაზის აღდგენას, რაიც წარმოებულ უნდა იყოს მოზრდილი ერთეულის მიერ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თვითეული ჯარისკაცის მიერ. ამრიგად საბრძოლო წვრთნაში მნიშვნელობა ჩვენებისა თვითეული ჯარისკაცის მიერ არის ფრიად მცირე.

ჯარისკაცების არსებითი წვრთნა უნდა სწარმოებდეს: —

1). საბრძოლო მეცადინობათა საშუალებით, რომელთა დაინიშნულება უნდა იყოს ტექნიკურად შეთვისება მიდამოსი, იარაღისა, და ყოველგვარ ხელსაწყოთა და ბრძოლა საჭირო მოქმედებებისა (1 ჯგუფი მეცადინობისა, ეგრედ-წოდებული საწვრთნელ-საბრძოლო).

მეცადინობათა ეს ორივე ჯგუფი ერთად შეიცავს ერთნაირად როვითარებს, ასრულყოფილებს ჯარისკაცების გონებრივ და მორალურ თვისებებს, მათი შეფარდებით ბრძოლის პირობებში (2 ჯგუფი მეცადინობათა, საკუთრივ საბრძოლო).

მეცადინეობათა ეს ორივე ჯგუფი ერთად შეიცავს ერთნაირად როგორც თვით ჯარისკაცებს წვრთას, აგრეთვე უფროსებისასაც.

1 ჯგუფის მეცადინეობის წარმოებისას ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული თითქმის ყოველ მოძრაობას ერთეულისა, მცირე გროვებისა ან კიდევ თვითული ჯარისკაცისა და გასწორებულ იქნას ყოველი შეცდომა და ცუდათ შესრულება და სათანადოთ ახსნილი ყოველი მოქმედება. ამ მეცადინეობის დამახასიათებელ მხარედ არის შეჩერებები მეცადინეობის მსვლელობაში წარმოშვებულ შეცდომების შესწორების მოთხოვნის დროს. ხშირად თვითეული ფაზა მოქმედების განმეორებულ უნდა იქმნას მთელი ნაწილის მიერ დაშვებულ შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

მორალური თვისებები ტექნიკურ ხასიათით ამგვარ მეცადინეობებში ვერ ითამაშებს ნამდვილ როლს და ამის გამოც არ უნდა იყოს წვრთნის საგნადაც. ამიტომაც არ შეიძლება დავეკმაყოფილდეთ მხოლოდ 1-ლი ჯგუფის მეცადინეობით, თუნდაც ჯარისკაცებმა ამ ხანაში მიაღწიონ ვითომდაც საკმარისად კარგ ტექნიკურ გამოქნილებას.

ჯარისკაცს, ისე როგორც ყოველ ჩვეულებრივ ადამიანს, ახასიათებს მუდამ პასიობა და სიზანტე საკუთარი გონების ამუშავებაში, როდესაც იცის, რომ მას თავს ადგია ზედამხედველი, რომელიც მის მაგივრად აზროვნებს და ყოველ მის ცუდ მოძრაობას შეასწორებს. ამ შემთხვევაში ჯარისკაცი არ ფიქრობს მთლიანად თავის დავალებებზე, არამედ მხედველობაში აქვს უახლოესი მოქმედების შესრულება, ეტაპებით — ამით კი მისი თვითმოქმედება იკარგება. ამის გამო, ჯარისკაცები კარგად ასრულებენ თავანთ მოქმედებებს მწვრთნელთა განუწყვეტლივ თვალდევნით, სამაგიეროდ უფრო ზრდილ მეცადინეობების წარმოებისას, როდესაც უკვე არ იმყოფებიან განუწყვეტლივ უშუალოდ უფროსების ზედამხედველობაში, ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი მოქმედებების წესიერად შესრულებაზე. მაშასადამე, აუცილებელია წარმოება მეცადინეობებისა, რომელნიც აკავშირებენ საბრძოლო ტექნიკას ბუნების მორა-

ლურ თვისებებთან და ამით წარმოადგენენ მთავარ ფუძეს საბრძოლო ღირსების გამომჟღავნებაში, როგორც თვითეულ ჯარისკაცისა, აგრეთვე მთელ ნაწილებსა.

ამგვარ მეცადინობათ ეკუთვნის მეორე ჯგუფის საბრძოლო მეცადინობა, სადაც ჯარისკაცებს ეძლევა დავალება შესასრულებლად და ამასთანავე რაც შეიძლება მეტი თავისუფლება თვითმოქმედებაში და შესრულების ხერხში. აქ უდიდესი ყურადღება მიქცეული უნდა ჰქონდეს ჯარისკაცებში დამოუკიდებლად მოქმედების უნარის გამომჟღავნებას, რათა სცდილობდნენ იმოქმედონ ისე, რომ თავისი მოქმედების შედეგად აღწევდნენ დანიშნულ მიზანს და ამით ასრულებდნენ დავალებას. მათ ნათლად უნდა დაინახონ, რომ მათი მოვალეობაა ბრძოლის ხელოვნების გამოყენება აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ მიდამოსთან არა სათანადოთ შეფარდებით არ აყენებდეს ნაწილს ზარალს, რაიც ამცირებს ნაწილის ძალას და ამასთანავე უძნელებს დანარჩენებს დავალებათა შესრულებას. მაშასადამე, ამგვარ მეცადინობათა მიზნად უნდა იყოს, ტაქტიკურ წვრთნასთან ერთად, დავალებათა შესრულებაში თვითმოქმედების, თაოსნობის და შეგნებულ პასუხისმგებლობის გამომჟღავნება.

მეორე ჯგუფის მეცადინობას გარეგნულად უნდა ახასიათებდეს მოქმედების განუწყვეტლობა. მეცადინობის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც შემსრულებელთა მოქმედება აშკარად გადაიხრება დასახული მიზნიდან.

მეცადინობის დროს შემსრულებელთა მიერ დაშვებული შეცდომები აღნიშნულ უნდა იქნან ხელმძღვანელების მიერ მეცადინობის დასრულების შემდეგ მის კრიტიკა-დახასიათებისას, რომელიც აუცილებლად უნდა სწარმოებდეს ყოველი მეცადინობის შემდეგ. ეს კრიტიკა-დახასიათება უნდა იყოს მოკლე და შინაარსიანი. კრიტიკას უნდა ეძლეოდეს მხოლოდ არსებითი შეცდომები, რომელნიც ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებული, ღრმად უნდა მტკიცდებოდეს ჯარისკაცთა მეხსიერებაში. ამასთანავე, მეცადინობის შემდეგ, უნდა მოეთხოვოს ჯარისკაცებს

მეცადინობის შინაარსის განმეორება, რათა ამით ხელმძღვანელი რწმუნებულნი იქნებოდნენ იმაში, იქმნა ვაგებულებით მათ მიერ მეცადინობის აზრი თუ არა.

საბრძოლო მეცადინობათა წარმოებისას, მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნას აუცილებლად იმ პირობების შექმნა, რომელნიც ნამდვილ ბრძოლის მოთხოვნილებებს უნდა ევსებოდნენ. ყოველი მეცადინობა, თუნდაც თვითეული ჯარისკაცისა, არ უნდა იყოს რაიმე განყენებულ საგნად, არამედ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ საბრძოლო პირობას, რომელიც წინ უსწრებდა ამ მეცადინობას და რომლის ლოლიკური შედეგიც უნდა იყოს წარმოებული მეცადინობა.

საბრძოლო მეცადინობათა მთავარ სახედ, განსაკუთრებით პირველ ხანაში, უნდა იყოს ერთ-მხრული მაცადინობა, ე. ი. სადაც მოპირდაპირე, როგორც მომქმედი მხარე, ფაქტიურად არ არსებობს ან კიდევ მის როლს თამაშობს შემცირებული, ამ მიზნით დანიშნული, სათანადოთ დარიგებული და სწავლილი და მიდამოზე მოთავსებული ნაწილები. ეს წესი ნებას იძლევა ვაწარმოთ მოპირდაპირესთან ის მოქმედებები, რომელნიც გავლენას უნდა ახდენდნენ ჯარისკაცების მოქცევაზე ბრძოლაში. იმ მიზნის მიხედვით, რომელიც უნდა მიღწეულ იქმნას ჯარისკაცების მიერ მოქმედება და დავალება მოპირდაპირის როლის მოთამაშე პირებისა, დაწვრილებით დამუშავებულ უნდა იქმნას მეცადინობის ხელმძღვანელის მიერ, და აქაც უნდა მიღებულ იქმნას აუცილობელი პირობები ნამდვილ ბრძოლისა, რათა ჯარისკაცებს არ შეექმნათ ყალბი წარმოდგენა სინამდვილეზე. მხოლოდ მეცადინობას, რომელიც თავისი ჯაფით და გამომეტყველებით, ედრება ნამდვილ ბრძოლას, შეეძლება ჯარისკაცებს მისცეს ნამდვილი წარმოდგენა ველზე ცხოვრებისა, რასაკვირველია, არსებითი ცეცხლის გამონაკლისით; ამასთანავე, უფროსებისათვის კი იქნება ეს ერთეულის მორალურ და ფიზიკურ ღირებულების შესამოწმებლად. ამიტომაც არ უნდა ვერიდებოდეთ მეცადინობის წარმოებას არახელსაყრელ პირობებში, როგორც წვიმის, ქარის, ტლახის, ყინვის, სიციხის, უძილობის, ღამის და სხვა ამგვარის დროს, ვინაი-

დან ჯარისკაცები მოკლებულნი მეცადინობას ამგვარ პირობებში, ვერ შეიქმნიან სწორ წარმოდგენას ომიანობის სინამდვილის შესახებ.

ბრძოლის ნამდვილ სურათის მეტ წარმოდგენას იძლევა მუდამ ორმხრული მეცადინობა, სადაც ორი მხრიდან მოპირდაპირენი ნორმალურად მოქმედებენ და რაიც მეტად აცოცხლებს მეცადინობის სახეს და ჰქმნის მას საინტერესოდ. ვინაიდან ასეთი მეცადინობის მთავარი დანიშნულებაა თვით უფროსების წვრთნა და თვითეულ ჯარისკაცის და მცირე ნაწილების მოქმედებას აქ ვერ ექცევა სათანადო ყურადღება. ამიტომ ამგვარი მეცადინობა უნდა სწარმოებდეს ჯარისკაცების საკმაოდ გაწვრთნის შემდეგ, ვინაიდან უშუალო ზედამხედველობიდან გამოსვლის გამო, არ ირყვნებოდენ და არ ეჩვეოდენ არა შესაფერის ქცევას ბრძოლის წარმოებაში.

საბრძოლო მეცადინობაში დიდი ყურადღება უნდა მიქცეს თანამშრომლობას, როგორც ჯარისკაცებისა ერთმანეთს შორის, ისე ეგრეთვე ნაწილებისა, სხვადასხვა გვარის ცეცხლის იარაღებისა და სხვადასხვა დარგის ჯარებისა. რაც ძალისა და საშეაღებათა ნაყოფიერად გამოყენებისა და მიზნის მიღწევის გაადვილების მთავარი თავდება.

დამოუკიდებლად მომქმედ მებრძოლის გაწვრთნის საქმეში, რომელსაც შეეძლება მოქმედება ველზე ბრძოლის ყოველ უძნელეს პირობაში, უფროსების მიერ რჩევის მიუწოდომლადაც, რადგან ისინი მოკლებული იქნებიან მათ ხშირად ბრძოლის ზოგიერთ მდგომარეობაში, უნდა ვცდილობდეთ შევაგნებოთ მათ, თავის თანამებრძოლთა სასარგებლოდ თვითეული ჯარისკაცის შრომის აუცილებლობის შესახებ, რომ ეს აძლევს ყოველ გროვას შეგნებას ძალის ხარისხოვნებაზე და იმედს. ჯარისკაცებს უნდა კარგად ესმოდეთ ერთმანეთი და შეეძლოთ ყოველ მდგომარეობაში თანამშრომლობა, რითაც ადვილდება მიზნის მიღწევა.

წვრთნამ და აღზრდამ ისე უნდა გამოქნას ჯარისკაცი, რომ ვერ იმეტებდეს დასტოვოს თავისი თანამებრძოლი ბრძოლის უძნელეს პირობაში მარტოდ, დახმარების მიუწოდებლად. შესაფერი აღზრდა უნდა აგ-

ნებიინებდეს ჯარისკაცს, რომ უახლოეს წუთებს შეუძლია შექმნას თვისაც ამგვარივე პირობები, და წვრთნა უნდა აძლევდეს მას ამხანაგისა და საკუთარი თავის გაჭირვებისაგან ხსნის უნარს.

ჯარისკაცთა აღზრდისა და წვრთნის მთავარ დებულებათა ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ვხედავთ, რომ ეს არ არის მარტივი საქმე. ეს მოითხოვს, როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, დიდ დაკვირვებას, ცოდნას, მუყაითობას და თავგანწირულებას მწვრთნელთა - აღმზრდელთა და ხელმძღვანელთა მიერ, რომელთა ღირსებისაგან და უნარისაგან იქნება დამოკიდებული ნაყოფის სივარდისე, იმ ნაყოფისა, რაიც იქნება ფუძე ერის და სახელმწიფოს არსებობისა, მისი იმედების და მისწრაფებათა განხორციელებაში საერთო საკეთილდღეოდ და სიკეთისათვის.

ლ . მ .

## შ ე ნ ი ა რ ა ლ ე ბ უ ლ ქ ა ლ ტ ი ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

### 1. სახელმწიფოს თავდაცვის ორგანიზაცია.

თანამედროვე ომმა შექმნა ახალი თავდაცვის სისტემა ე. წ. „ხალხთა შეიარაღება“, სადაც მთელი საზოგადოება დაყოფილი არის ორად: ერთი ნაწილი იარაღით ხელში უშუალოდ ებრძვის მტერსა, ხოლო მეორე კი აწვდის შეიარაღებულ ძალებს ყოველივე იმას, რასაც მათი არსებობა და ბრძოლის წარმოება მოითხოვს; მასთან ერთად ურთულებს მოპირდაპირეს მორალურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ამ სისტემის დებულებანი გამოიხატებიან შემდეგში: ---

ა) მთელი საზოგადოების მომზადება სამხედრო თვალსაზრისით. აუ-  
მხრივ დიდ დახმარებას უწევს საყოველთაო სანხედრო აღზრდის მოწ-  
ყობა.

ბ) მობილიზაციის მომზადება არა მარტო შეიარაღებულ ძალთა და-  
რგების, არამედ მთელი სახელმწიფოს შემძლეობისაც; განსაკუთრებუ-  
ლი ყურადღება ამ მხრივ მეურნეობას უნდა მიექცეს. რამდენად მნიშვ-  
ნელოვანია საყოველთაო მობილიზაციის მომზადება, ამას გვიჩვენებს  
ის, რომ თითქმის ყველა სახელმწიფომ თავის ყოველ სამინისტროში და-  
არსა ამ საქმის განსახორციელებლად, ცხოვრებაში გასატარებლად სპე-  
ციალური განყოფილებანი. მათი მუშაობის კოორდინაცია ეკუთვნის  
სპეციალურ ორგანოებს, რომლებსაც სხვა და სხვა სახელმწიფოში აქვს  
სხვა და სხვა სახელი. მაგალითად საფრანგეთში, რუმინიაში და იტალია-  
ში უწოდებენ „სახალხო თავდაცვის უზენაესი საბჭო“, ინგლისში —  
„იმპერიის თავდაცვის კომიტეტი“, ესპანიაში, ბელგიაში და ჰოლანდია-  
ში — „სახალხო თავდაცვის საბჭო“, პოლონეთში — „სახელმწიფო თავ-  
დაცვის კომიტეტი“. თუმცა გერმანიაში ამგვარი ორგანო ოფიციალუ-  
რად არ არსებობს, მაინც ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში სწარ-  
მოებს ამ მხრივ დიდი მუშაობა.

რაც შეეხება აღნიშნული ორგანოების შემადგენლობას, აქ შეიძლება  
შედიოდნენ მხოლოდ მინისტრები, როგორც მაგალითად საფრანგეთში,  
ან იყოს შერეული ე. ი. მინისტრები და სამხედრო წარმომადგენლები  
(ინგლისი), ან კიდევ მარტო მხედრები, როგორც არის ბელგიაში და  
ჰოლანდიაში.

## **2. შეიარაღებული ძალების დანიშნულება და მათი დაყოფა.**

სახელმწიფოს თავდაცვის წარმოებაში მონაწილეობს მთელი ხალხი,  
ხოლო იარაღით ბრძოლას უშუალოდ აწარმოებს შეიარაღებული ძალა.

მშვიდობიან დროში სახელმწიფოს თავდაცვის მომზადება ე. ი. საყო-  
ველთაო მობილიზაცია და სამხედრო აღზრდის მოწყობა, მთელ საზო-  
გადოებას ეკუთვნის, ხოლო მომზადება მეტბრძოლ არმიებისა, მათი გა-

წვრთნა და მობილიზაცია არის შეიარაღებული ძალების დანაშნულეობა.

რომ შეიარაღებული ძალები ბრძოლისათვის გამოყენებული იქნენ, წინდაწინვე უნდა მოხდეს მათი მობილიზაცია. ომის გამოცხადებისთანავე იბადება საჭიროება და მასთან პირველი ამოცანა — მობილიზაციისა და კონცენტრაციის დაფარვა. ამ მიზნისათვის ევროპის სხვა და სხვა ისა და კონცენტრაციის დაფარვა. ამ მიზნისათვის ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოში არსებობენ სპეციალურად მოწყობილი სანაპირო რაზმები, სახელდობრ: —

რუსეთში — სანაპირო კორპუსი; გერმანიაში — გრენცშუტც; საფრანგეთში — საბაჟო რაზმი; ჩეხოსლოვაკიაში — სანაპირო ათასეულები; იუგოსლავიაში — სანაპირო რაზმი; ისპანიაში — კარაბინერები; იტალიაში — სახაზინო რაზმი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მათი დანიშნულება ერთი და იგივეა: — უზრუნველყოფა მობილიზაციისა და კონცენტრაციისა. მობილიზაციის დასრულების შემდეგ შეიარაღებული ძალა იწყებს მოპირდაპირესთან სამხედრო მოქმედებას და მიისწრაფება ერთად ერთი მიზნისაკენ: — ბრძოლა გამარჯვებამდე.

ზემო აღნიშნული მიზნების გარდა, შეიარაღებულ ძალებს აქვთ კიდევ დამხმარე მიზნები, როგორც მაგალითად: შინაგანი წესიერების დაცვა. მრავალ სახელმწიფოში ამ მიზნის განხორციელება დაკისრებული აქვს სპეციალურ ორგანიზაციას, როგორც მაგალითად რუსეთში გეპეუ. გერმანიაში შუტპოლიცია, ინგლისში სამოქალაქო პოლიცია, იტალიაში კარაბინერების კორპუსი, რუმინიაში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში და საფრანგეთში სამხედრო ჟანდარმერია. ჟანდარმერია ექვემდებარება ჩვეულებრივად შინაგან საქმეთა სამინისტროს, სანაპირო რაზმები კი ფინანსთა მინისტრს; საყოველთაო სამხედრო აღზრდა — შინაგან საქმეთა მინისტრს ან განათლების სამინისტროს. ყველა ეს ორგანიზაცია: შეიარაღების, სწავლის და ორგანიზაციის მხრივ ცოტა თუ ბევრად დამოკიდებულია სამხედრო მინისტრისაგან.

ზოგი ერთი სახელმწიფო, როგორც მაგალითად, ინგლისი და იტალია შეიარაღებულ ძალას ყოფს სამ დარგად: —

1. ხმელეთის ჯარი, 2. სამხედრო ნაოსნობა, 3. სამხედრო ავიაცია. ამ დიდ ქვეყნებში გათვალისწინებული აქვთ საზღვაო და საავიაციო ფლოტის დამოუკიდებელი მოქმედება და ამ მიზნის გამო არსებობს ცალკე სამხედრო ნაოსნობისა და ავიაციის სამინისტრო. საფრანგეთი, იტალია და უნგრეთი არ გამოყოფენ ავიაციას ხმელეთის ძალებიდან, მაგრამ სტოვებენ საზღვაო სამინისტროს, რომელიც განაგებს როგორც სამხედრო, აგრეთვე სავაჭრო ნაოსნობის საქმეს.

რუსეთს, გერმანიას, შვეციას, ნორვეგიას არა აქვთ ცალკე საზღვაო სამინისტრო, ხოლო სამხედრო სამინისტროს ფარგლებში ჰყავთ დამოუკიდებელი სამხედრო ნაოსნობის მმართველობა.

დაბოლოს, ბელგია, რუმინეთი, იუგოსლავია და ბალტიის ზღვის სახელმწიფოები, შედარებით ფლოტის პატარა რიცხვის გამო, სთვლიან მათ საერთაშორისო ძალების ერთ-ერთ დარგად.

## 8. შეიარაღებული ძალების შექმნის სისტემები.

ძალების შექმნის მეთოდებში, ევროპიულ სახელმწიფოებში არსებობს ძირითადი განსხვავება.

მრავალ სახელმწიფოში დარჩენილია მსოფლიო ომამდე მიღებული დებულება: „საყოველთაო სამხედრო ბეგარა“. მაგრამ არიან ქვეყნები, როგორც მაგალითად ინგლისი, ირლანდია, გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი, — რომლებშიც, ნებით თუ იძულებით, მიღებულია დაქირავებული (მოხალისეთა) ჯარი. დანარჩენი სახელმწიფოები ინერციის ძალით მისდევენ ძველ კადრულ სისტემას, სადაც მშვიდობიან დროის შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ საომარ არმიების კადრს. ამ სისტემის ძალით, კადრების შემადგენლობა და რაოდენ-

ნობა მშვიდობიან დროში არის უცვლელი, ხოლო ომის დროს ისინი მრავლდებიან სათადარიგოთა მოწვევით.

კადრულ სისტემასთან ერთად, უფრო და უფრო მეტად ვრცელდება ჩარჩოული სისტემა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ, თუმცა ჯარის ნაწილების რიცხვი არის უცვლელი, მაგრამ მათი შემადგენლობა იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხანგრძლივია სამხედრო სწავლა და რამდენია მოწვეული. ეს სისტემა თანდათან ფეხს იდგამს დანი-აში, ჰოლანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში და რუსეთში. ზოგი სახელმწიფო ხმარობს აღნიშნულ სისტემებთან შედარებით საშუალო სისტემას.

დაბოლოს ცნობილია მილიციური სისტემა, მიღებული შვეიცარიაში: — მშვიდობიან დროს არსებობს მხოლოდ შტაბების ჩონჩხი და ინსტრუქტორთა მცირე რიცხვი, რომლებიც ქმნიან მოწვეულ მოქალაქეთა გასაწვრთნელად, სამხედრო ნაწილებს. ეს სისტემა მიღებულია აგრეთვე ინგლისში, ამერიკაში და რუსეთში, როგორც მეორე ხაზის ორგანიზაციის სისტემა (ტერიტორიალური ჯარი). ამ სისტემაზეა აგრეთვე აგებული ფაშისტების მილიცია იტალიაში, „სომანტეს“ ისპანიაში, ფინლანდიაში „სკიდსკარ“ ესტონიაში „კაიტსელიტ“, ხოლო იმ განსხვავებით, რომა ზოგიერთ ჩამოთვლილ სახელმწიფოში (იტალია, ფინლანდია) მილიცია შესდგება მოხალისეებისაგან, ზოგში კიდევ (რუსეთი) ბევრით მოწვეულ პირთაგან.

საერთოდ დაქირავებულ (მოხალისეთა) ჯარის სისტემა მიღებულია ექვს ევროპიულ სახელმწიფოში და სამსახური ჯარის რიგებში გრძელდება 6—12 წელს.

კადრული სისტემა — 14 სახელმწიფოში — 10 თვიდან (ბელგია) 2 წლამდე (რუმინეთი, საბერძნეთი).

ჩარჩოული — 7 სახელმწიფოში -- 48 დღიდან (ნორვეგია) 14 თვემდე (ჩეხოსლოვაკია).

მილიციური სისტემა 1 სახელმწიფოში და ის ჩვეულებრივ არც დასცილებია 90 დღეს (შვეიცარია).

რამოდენიმე სახელმწიფოში ჯართან ერთად არსებობს მილიციური ჯარი (მეორე ხაზისა), რომელიც იმყოფება ან სრულად სახელმწიფოს ხარჯზე (ინგლისი, რუსეთი) ან და კიდევ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია (ფინლანდია, ესტონეთი). პოლონეთში, რუმინეთში, ჩეოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, მილიციის ნაცვლად მიღებულია ახალგაზრდობის საყოველთაო სამხედრო აღზრდა, რომელიც საუცხოვოდ ასრულებს თავის დანიშნულებას.

#### 4. შეიარაღებული ძალების შემადგენლობა.

თანამედროვე შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია მეტად რთულია. თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელი ომის დამახასიათებელ თვისებას — „ხალხთა შეიარაღება“ — დავინახავთ, რომ შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ ერთ უდიდეს სახალხო სკოლას, რომელიც მოითხოვს: —

1). მრავალ ინსტრუქტორს,

2). მობილიზაციის სიზუსტით მომზადებას, რისთვისაც საჭიროა მრავალ როგორც სამხედრო ისე არასამხედრო პირთა თანამშრომლობა

3). ადმინისტრაციის ისე მოწყობა, რომ სრულებით უზრუნველყოს სამხედრო ძალებს მათი არსებობა და დანიშნულების ასრულება.

რაც საადმინისტრაციო დარგს შეეხება, მის შემადგენლობას შეიძლება უმეტეს ნაწილად არასამხედრო პირები წარმოადგენენ. მაშასადამე, შეიარაღებული ძალები შესდგებიან ორი ნაწილისაგან: —

ა). მხედრები, რომელნიც ვარჯიშობენ სამხედრო ხელოვნებაში,

ბ). მოხელენი, რომელნიც უზრუნველყოფენ მათ სხვადასხვა ადმინისტრატიულ მოთხოვნილებას მშვიდობიან დროს.

რომ ადმინისტრაციის მუშაობა იღვეს სათანადო დონეზე, ზოგი-

ერთი სახელმწიფო სცდილობს მოხელენი სამხედრო დისციპლინას და სასამართლოს დაუქვემდებაროს.

მხედრები განიყოფებიან: —

ა). აქტიური სამსახურის მხედრები, რომელნიც ფაქტიურად მსახურებენ შეიარაღებულ ძალაში.

ბ). სათადარიგონი, რომელნიც მშვიდობიან დროს გადიან მხოლოდ ხანმოკლე ვარჯიშობას.

აქტიური სამსახურის მხედრები თავის მხრივ შეადგენენ 2 ჯგუფს:

ა). ოფიცრები და ნაცვლები (ინსტრუქტორები).

ბ). კონტინგენსი, რომელთა რიცხვი კანონმდებელ უწყების მიერ არის გამორკვეული.

ინსტრუქტორები ნორმალურად გამოყენებული უნდა იყვნენ მართო ერთეულებში და სამხედრო სკოლებში. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როცა რომელიმე სამხედრო დაწესებულებაში, სამხედრო ცოდნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; ამ შემთხვევაში ინიშნება ოფიცერი. სამაგიეროდ, კონტინგენტის გამოყენება რომელიმე საადმინისტრაციო დარგში უნდა იყოს აკრძალული.

რიცხვთა შემადგენლობას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ ერთ ოფიცერზე საშუალოდ ხვდება 20 ჯარისკაცი; ერთ ნაცვალზე — 5—10 ჯარისკაცი.

## 5. შეიარაღებული ძალების შევსება.

გარდა იმ სახელმწიფოებისა, სადაც არსებობს დაქირავებული ჯარი, შეიარაღებული ძალების შევსება ხდება სათანადო აღრიცხვის დებულების ძალით. ამისათვის დაარსებულია სპეციალური დაწესებულებანი (აღრიცხვის), სადაც აწარმოებენ ჯარში გასაწვევ მოქალაქეთა რეგისტრაციას. აქვე ხდება გაწვევა და რეკრუტების მივლინება ერთეუ-

ლებში. სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ კი აწარმოებენ დეგშიაც მათ რეგისტრაციას (ევილენციას).

ჯარისკაცი, მივლინებული რომელიმე ერთეულში, ჩვეულებრივ უნდა დარჩეს იქ სამსახურის დასრულებამდე. ბეგარას მოხდის შემდეგ გადადის იგი აღრიცხვის ორგანოების განკარგულებაში, რომელიც ომის მობილიზაციის თუ ვარჯიშობის დროს, განაგებს მათ მივლინებას ნაწილებში. ჩვეულებრივ, მივლინებულნი უნდა იყვნენ იმავე ნაწილებში, სადაც გადაიხადეს სამხედრო ბეგარა.

ჯარში გასაწვევ პირების რიცხვი არის ცოტად თუ ბევრად ერთნაირი და დაახლოვებით უდრის 0,6—0,7 პროცენტს მთელ მოსახლეობისას. აქედან კონტინგენსის რიცხვიც არის მუდმივი და უდრის : საფრანგეთში 240,000; იტალიაში — 220,000; ისპანიაში — 140,000; რუმინეთში — 100,000; ჩეხოსლოვაკიაში — 800,000

ყველა სახელმწიფოს არა აქვს საშუალება ჩარიცხოს ჯარში მთელი კონტინგენსი და ამის გამო რჩება ნაწილი, რომელიც გაუწვრთნელი გადადის თადარიგში. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია ან საყოველთაო სამხედრო გაწვრთნა ან კიდევ მოთავსება ამ ზედმეტ კონტინგენსისა ისეთგვარ დაწესებულებაში, რომელიც ორგანიზაციის მხრივ, ცოტად თუ ბევრად, ემსგავსება სამხედრო ორგანიზაციას (მაგალ. სანაპირო რაზმები, ჟანდარმერია და სხვა). ამის გამოც იმ სახელმწიფოებში, სადაც მთელი კონტინგენსი ივლინება რეგულარულ ჯარში, საყოველთაო სამხედრო გაწვრთნა სდგას უფრო დაბალ საფეხურზე, ვიდრე მაგალითად ბალტიის სახელმწიფოებში, სადაც მთელი კონტინგენსის მივლინება ჯარში სიძნელეს წარმოადგენს.

ისე როგორც კონტინგენსის რიცხვი არის მუდმივი, — მუდმივია აგრეთვე ჯარის რიცხვი, რომელიც ომის დროს შეიძლება გამოვიწვიოთ.

მსოფლიო ომი დროს საფრანგეთმა და გერმანიამ მოიწვია იარაღის ქვეშ 20 პროცენტი მოსახლეობისა; საშუალოდ შეიძლება მიღებულ იქ-

მნას მოსახლეობის 15 პროც. მაშასადამე, თვითეული სახელმწიფოს იარაღებული ძალების რიცხვი უნდა უდრიდეს: ---

გერმანია — 9 მილიონი; საზრანგეთი — 6; იტალია — 6; პოლონეთი — 4,5; რუსეთი (ევროპიული) — 15; ისპანია — 3; რუმინეთი — 2,5; ჩეხოსლოვაკია — 2; იუგოსლავია — 2;

აღრიცხვის დაწესებულების რიცხვი არის ისე გამოანგარიშებული, რომ თითო ამ დაწესებულებათაგანი არ უნდა განაგებდეს 40,000 თაღრიგზე მეტს..

რაც შეეხება შეიარაღებული ძალების შევსების პრინციპს, ომის დაწყებამდე იყო ორი სისტემა: ---

1). ტერიტორიალური ე. ი. ჯარისკაცი ასრულებს სამსახურს ჩვეულებრივ იმ ერთეულში, რომელიც მის ახლო იმყოფება.

2). ექსტერიტორიალური: თვითეული ნაწილის შემადგენლობას წარმოადგენენ სხვა და სხვა კუთხის ჯარისკაცები.

რღეს ყველა სახელმწიფოში მიღებულია ეს უკანასკნელი სისტემა, რადგანაც ერთეული, რომელიც მაგალითად იმყოფება სამეურნეო ოლქში, მოითხოვს აგრეთვე სხვა და სხვა სპეციალისტებს; ასეთი სპეციალისტები ამ ოლქში შეიძლება ნაკლებად ან სრულებით არ მოიპოვებოდენ.

ომის დროს შევსების წესი იგივეა რაც მშვიდობიანობის დროში, მართო იმ განსხვავებით, რომ თადარიგი ან რეკრუტები არიან არა იმ ერთეულებში, რომელნიც უკვე იმყოფებიან ველზე, არამედ მათ სათადარიგო ნაწილებში (ათასეულებში, ბატალიონებში, დივიზიონებში). ეს სათადარიგო ნაწილი შეიძლება იყოს გამოყოფილი უკვე მშვიდობიან დროს ან კიდევ გამოეყოს ომის დროს, ერთეულის ველზე წასვლისათანავე.. ორივე შემთხვევაში შევსება ერთნაირად სწარმოებს.

### შეიარაღებული ძალების გაწვრთნა

შეიარაღებულ ძალების მთავარ დანიშნულებას მშვიდობიან დროს

შეადგენს გაწვრთნა ყველა იმ მოქალაქისა, ვისაც კი იარაღის ტარების უნარი აქვს.

რაც შეეხება ოფიცრებსა და ნაცვლებს, მათი გაწვრთნა ხდება სპეციალურ სამხედრო სკოლებში, რაზედაც იქნება შემდეგში ლაპარაკი. აქ შევუდგებით მხოლოდ კონტინგენსის გაწვრთნის დასურათებას.

წვრთნის პროგრამა სავსებით დამოკიდებულია აქტიური სამსახურის ხანგრძლიობაზე, რომლის განმავლობაში ჯარისკაცმა უნდა შეითვისოს ძირითადი დებულებანი. ეს დრო თვითეულ სახელმწიფოში არის სხვა და სხვა. — შვეიცარიაში აქტიური სამსახურის დროა 65—90 დღე; ნორვეგიაში — 48—102; პორტუგალია — 105—210; შვეცია — 140—260; დანია — 5—12 თვე; ჰოლანდია — 5—15 თვე; ბელგია — 10—13; ფინლანდია — 12—15; ჩეხოსლოვაკია — 14; იუგოსლავია — 18; იტალია — 18; საფრანგეთი — 18; ესტონია — 18; ლიტვა — 1 ნახევარი წ. ისპანია — 2 წელ. რუმინეთი — 2 წ.

როგორც ვხედავთ, ძირითადი წვრთნის პროგრამა მოთავსებულია 48 დღიდან 2 წლამდეს ფარგლებში. საერთოდ მიღებულია, რომ მთელი პროგრამის ამოწურვა უნდა დასრულდეს 12 თვის განმავლობაში, რის შემდეგ იწყება გატარება იმისა, რაც პირველ წელს იქმნა გავლილი.

სახელმწიფოებში, სადაც სამსახურის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები, ყველა იარაღის დარგი არ ამთავრებს თავის სამსახურს ერთდროულად, — ტექნიკური ნაწილები, მაგალითად, გასაწვრთნელად მოითხოვენ უფრო მეტ დროს, ვიდრე ქვეითი ნაწილები. რადგანაც გამეორება იმისა, რაც ჯარისკაცმა შეისწავლა პირველ წელს, შეიძლება გადატაიყოს თადარიგთა ვარჯიშობის ხანაში, ამის გამოც ემჩნევა ტენდენცია აქტიური სამსახურის ერთ წლამდე შემოკლებას. მაგრამ რაც უფრო მოკლეა ეს დრო, მით უფრო ხშირი უნდა იყოს თადარიგის მოწვევა სავარჯიშოდ. ამიტომაც შვეიცარიაში, სადაც ეს ხანა უმოკლესია, გავალისწინებულია 18 ვარჯიშობა 11—14 დღიანი. სამაგიეროდ, იმ

სახელმწიფოებში, სადაც აქტიური სამსახურის დრო უფრო ხანგრძლივია, თადარიგის მოწვევა ხდება მხოლოდ 2—4-ჯერ.

საერთაშორისო ომამდე თითქმის ყველა სახელმწიფოში იყო მიღებული 3—2 წლიანი სამსახური. პირველი წელიწადი დანიშნული იყო ახალ მოწვეულთა გასაწვრთნელად; დანარჩენ წლებში კი ჯ.კაცი ასრულებდა საგუშაგო სამსახურს ან ეხმარებოდა ინსტრუქტორებს რეკრუტების სწავლებაში.

რაც შეეხება მივლინების სისტემას, ომამდე ეს საკითხი ისე იჭრებოდა, რომ ყველა ერთეული ერთდროულად ღებულობდა რეკრუტებს, რაც 3—2 წლიან სამსახურის დროს ყველაზე უბრალო და უკეთესი იყო. დღეს, რადგანაც სამსახური გასტანს 1—1 ნახევარ წელს, ერთდროული ჩარიცხვა გამოიწვევდა სხვა და სხვა წლებში გაწვეულთა არეგდარევას ან და ჯარის შემადგენლობა იქნებოდა მეტად ცვალებადი. ამის მაგალითად შეიძლება ჩეხოსლოვაკია დავასახელოთ: — იქ მიღებული იყო ერთ-წლიური სამსახური ერთდროულ მივლინებასთან ერთად; მაგრამ რომ მოხდეს რეკრუტებისა და ძველი წლების „გადახლართვა“, სამსახური გაგრძელებულ იქმნა ორი თვით. ამან გამოიწვია ის, რომ რეკრუტების მოსვლის ხანაში (შემოდგომაზე) რაზმების შემადგენლობის რიცხვი გაორკეცდა.

ამ მიზეზებისა გამო, უმრავლეს სახელმწიფოში, სადაც სამსახურის ვადა ორ წელზე ნაკლებია, მივლინება ხდება წლიურად ორჯერ (შემოდგომაზე და გაზაფხულზე). ორჯერ მივლინების სისტემას დადებითი მხარე იმაში ემჩნევა, რომ რიცხვთა შემადგენლობა დაახლოვებით ერთი და იგივეა ყოველთვის და მასთან ერთად, მივლინება გაზაფხულზე ერთ ასეულში და შემოდგომაზე მეორე ასეულში, აშორებს ყოველგვარ სიძნელეს გაწვრთნაში.

რომ გაზაფხულზე მივლინებულნი იყვნენ სათანადოთ მომზადებულნი მანევრებისათვის, თვით ჩარიცხვა უნდა ხდებოდეს რაც შეიძლება ადრე (თებერვალში, მარტში).

კადრების (ინსტრუქტორების) ვარჯიშობა ხდება თეორიულად ზამთარში და პრაქტიკულად კი ზაფხულში, — მანევრების დროს (ველზე უფროსობა. ჯგუფების თანამოქმედება და სხვა). ზაფხულში (მანევრები) ვარჯიშობა უნდა სწარმოებდეს ისეთ პირობებში, რომელიც მეტად ემსგავსება საომარ პირობებს (მინდორი, ბანაკები); თვით ჯარის რიცხვთა შემადგენლობა კი უნდა იყოს მიყვანილი საომარ შემადგენლობამდე, ამისათვის საჭიროა ზაფხულში თადარიგის მოწვევა.

## 7. შეიარაღებული ძალების მობილიზაცია.

შეიარაღებული ძალების მობილიზაციას ვეძახით ნაწილების გადასვლას მშვიდობიანი დროის ორგანიზაციიდან საომარ ფარგალზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მობილიზაციის სათანადო მომზადებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ზოგიერთ სახელმწიფოში უკვე მშვიდობიან დროში არსებობენ, გამწვრთნელი ნაწილების გარდა, აგრეთვე **სამობილიზაციო ნაწილებიც** ეგრეთ წოდებული „სათადარიგო ნაწილთა კადრები“. ასეთ სახელმწიფოებს ეკუთვნიან; — იტალია, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი. დანარჩენ სახელმწიფოებში მშვიდობიან დროს არ არსებობენ ამგვარი კადრები, ხოლო თვითეული ერთეული წარმოადგენს ერთი და იგივე დროს გამწვრთნელ და სამობილიზაციო ცენტრს.

იმ სახელმწიფოებში, სადაც მშვიდობიან დროის ერთეულების რიცხვი მცირეა (საფრანგეთი), შედარებით იმ ფართო მობილიზაციის მასშტაბთან, რომელიც გათვალისწინებულია მობილიზაციის გეგმებში, არსებობენ გამწვრთნელ და სამობილიზაციო ერთეულებთან ერთად, კიდევ ცალკე სპეციალური სამობილიზაციო ცენტრი ე. წ. სანტრ დე მობილიზასიონ. ამ ცენტრებს გამოყავთ ომის დროს ერთეულები, რომლებიც მშვიდობიან დროს არ არსებობენ.

ერთეულს, რომელიც ომის დროს აწარმოებს საკუთარ ან სხვის

თა საწყობებიდან სრულებით განცალკევებულია. სამობილიზაციო წყობებში მოთავსებული მასალა არის ხელუხლებელი და მისი გამოტანა შეიძლება მარტო მინისტრის ბრძანებით.

ეს მუშაობა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, რადგანაც უცხო სახელმწიფოს ჯაშუშები ეცდებიან მთელი აპარატი გაიციონ.

მობილიზაციას ჩვეულებრივ აცხადებს სახელმწიფოს უზენაესი მართველობა პრესით, განცხადების გამოფენით და სხვა საშუალებებით. დაბოლოს, მობილიზაცია შეიძლება იყოს საყოველთაო ან კიდევ ნაწილობრივი.

### 8. შეიარაღებული ძალების ადმინისტრაცია.

შეიარაღებული ძალების ადმინისტრაციას ვეძახით ჯარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს, ყველა მასალით და საშუალებით, რითაც კი სამხედრო უწყება განაგებს. ამ საქმეს აწარმოებს ე. წ. საადმინისტრაციო დარგი (სამსახური), რომელთა რიცხვი სხვა და სხვა სახელმწიფოში არის სხვა და სხვა. უმთავრეს დარგად ითვლებიან: —

- ა). საარტილერიო დარგი (ან შეიარაღების)
- ბ). საინჟინერო (ან სატექნიკო) დარგი
- ბ). სასანიტარო მასალათა მომარაგების
- დ). საინტენდანტო.

ჩამოთვლილ დარგებს შეეხვდებით თითქმის ყველა სახელმწიფოში; შეიძლება აქ მივუმატოთ კიდევ საავიაციო და საზღვაო დარგებიც. დანარჩენი კი ჩვეულებრივ შედიან ერთ-ერთ ჩამოთვლილ დარგში.

ყოველი დარგი შესდგება მმართველ და აღმასრულებელ ორგანოსაგან. მმართველი ორგანოს მოვალეობას შეადგენს; —

ა). მოთხოვნილებათა და საშუალებათა წინდაწინვე გათვალისწინება და მათი შეფასება;

ბ). გახსნილ კრედიტის მოხმარება ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გ). ბრძანების გაცემა შესახებ საჭირო მასალის ყიდვისა, ჩაბარებისა, დაგროვებისა და დარიგებისა.

არავითარ შემთხვევაში მართველი ორგანო არ უნდა ღებულობდეს მონაწილეობას აღმასრულებელი ორგანოების მოქმედებაში, რომლებიც მათ ექვემდებარებიან. სამაგიეროდ მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ და მუდმივ თვალ-ყური ადევნონ მათ მუშაობას. აღმასრულებელი ორგანოები ასრულებენ ბრძანებაში აღნიშნულ მასალის ყიდვას, ჩაბარებას, დაგროვებას, კონსერვაციას და ბოლოს მათ დარიგებას ერთეულთა შორის.

შეკვეთილ მასალათა საღირაღის გადახდას აწარმოებს აღმასრულებელი ორგანო ბრძანებათ მიხედვით ან და მართველ ორგანოს მიერ გამოწერილ ასსიგნატებით.

მართველ ორგანოებთან ითვლებიან სამხედრო სამინისტროს დეპარტამენტები; ყველა დაწესებულება, რომელიც მათ ექვემდებარება, შეადგენს აღმასრულებელ ორგანოს, როგორც მაგალითად კომისია ყიდვისა, ჩაბარებისა; შემდეგ საწყობები, მალაზიები, სახელოსნოები და სხ. მართველი ორგანოების მოხელენი (პერსონალი) სპეციალურად უნდა იყვნენ მომზადებული, რათა თავისი დანიშნულება ნაყოფიერად შეასრულონ და ამისათვის მოეთხოვებათ მათ უმაღლესი სასწავლებლის ცენტრი (ინჟინრები, ინტენდანტები, ექიმები, ტექნიკოსები და სხვა).

აღმასრულებელი ორგანოების მოხელენი, თუმცა შესდგებიან მართო უბრალო სპეციალისტებისაგან (ადმინისტრაციის ოფიცრები, სამხედრო მოხელენი), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში უნდა ინიშნებოდეს ისეთი პირი, რომელსაც აქვს ამ დარგის უმაღლესი ცოდნა, — მაგ. ჩაბარების კომისიაში.

თვითეული ერთეული ღებულობს თავისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ან ფულს ან მასალას; ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ კასები (ხაზინები) და საწყობები.

რომ უზენაეს სამხედრო უწყებას მიეცეს საშუალება სამხედრო ადმინისტრაციის წესიერ მუშაობას თვალ-ყური ადევნოს, ამისათვის არსებობს კონტროლთა პერსონალი, რომელიც სამხედრო მინისტრის მხრივ ადმინისტრაციის საქმიანობას შინჯავს.

ომის დროს შეიარაღებულ ძალთა ადმინისტრაცია ეყრდნობა იმავე ღებულებებს, რასაც მშვიდობიან დროს, იმ განსხვავებით, რომ სამხედრო მინისტრი აგროვებს ჯარისათვის საჭირო მასალას, რასაც შემდეგ გადასცემს მთავარსარდალის განკარგულებაში, რომელიც როგორც ომის წარმოების პასუხისმგებელი, უნდა იყოს ადმინისტრაციისა და გამოკვების ზრუნვიდან რაც შეიძლება მეტად თავისუფალი. მთავარ-სარდალის მიერ მოთხოვნილი მასალა იგზავნება,, მთავარ სათადარგო საწყობებში“, საიდანაც თვითეული საოპერაციო არმიის უფროსი, სარეგულაციო კომისარის ან კიდევ არმიის კვარტირმაისტერის საშუალებით, ღებულობს ყოველგვარ მისთვის საჭირო მასალას.

### 9: სამხედრო დროის ორგანიზაცია.

ომის დაწყებისათანავე მთელი სახელმწიფოს ტერიტორია იყოფება ორ ნაწილად: —

- 1). სამხედრო მოქმედებით მოცული სივრცე
- 2). სამხედრო მოქმედებას დაშორებული სივრცე

სამხედრო მოქმედებით მოცულ სივრცეზე, მთელი ძალა-უფლება გადადის მთავარსარდალის ხელში, რომელსაც სამხედრო მინისტრი გადასცემს ყველა სამხედრო მოქმედებისათვის მომზადებულ ერთეულს. ყველა ეს ერთეული ექვემდებარება მთავარსარდალს, რომელიც მათ მიავლენებს თვითეულ არმიის (ფრონტის) უფროსებს ან კიდევ იტო-

ვებს თავის უშუალო განკარგულებაში, როგორც „მთავარსარდლ მთავარ თადარიგს“.

სამხედრო მოქმედებას დაშორებული სივრცე თავის მხრივ იყოფება ორ ნაწილად; — საოპერაციო და საეტაპო.

საოპერაციო სივრცეში მოქმედებს ყველა მომქმედი არმია, საეტაპოში კი იმყოფება მთელი ზურგმომწყობი აპარატი. დივიზიების მართვებობისათვის მთავარსარდალს ჰყავს საშუალო უფროსები (კორპუსის, არმიის ან ფრონტის), (რომლებიც ინიშნებიან მხოლოდ ომის დროს).

უმრავლეს სახელმწიფოში, სადაც სამხედრო გაწვრთნის საკითხს უფრო დიდი ყურადღება ექცევა, ვიდრე მობილიზაციისას, მშვიდობიანი დროის დივიზიები შესდგებიან 3—4 ქვეითი და 1—2 საარტილერიო რაზმებისაგან (3—5 დივიზიონიანი). დანარჩენი ნაწილები ე. ი. 1—2 ესკადრონი, 1—2 მესანგრეთა გუნდი, საბარგო კოლონა (ხანდახან მზევრავთა ესკადრა და 1 ბალონების გუნდი) და დამხმარე ნაწილები, — დივიზიას ევლინება მობილიზაციის დროს. რაც შეეხება ცხენოსანთა დივიზიას, გარდა ორგანიულ 4—6 რაზმისა, 1—2 ცხ. არტ. დივიზიონისა, ყავს მას აგრეთვე მშვიდობიან დროს 1—2 ქვეითი ათასეული ან ველოსიპედისტები ან კიდევ ჯავსნოსან ავტომობილების დივიზიონი.

როგორც ვხედავთ, ცხენოსანი დივიზია ორგანიზაციული მხრივ მეტად მოზადებულია, ვიდრე ქვეითი ჯარის დივიზია. აიხსნება ეს მით, რომ რამოდენიმე საათის განმავლობაში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, ცხენოსანი დივიზია უნდა შეუდგეს მობილიზაციის დაფარვას.

რადგან მშვიდობიან დროში პირველობა ჯარის გაწვრთნას უჭირავს, ხოლო ომის დროს ტაქტიკურ მოსაზრებას, — ამისათვის საჭიროა მობილიზაციის დროს ზოგიერთი ცვლილების შეტანა რაზმების შინაგან ორგანიზაციაში.

რაც შეეხება მთავარი იარაღის ნაწილებს (ქვეითი, ცხენოსანი, საარტილერიო) გადიან ისინი ბრძოლის ველზე მთელი შემადგენლობით და სტრატეგიულ თავის ბინაზე მარტო სათადარიგო ათასეულებს.

საინჟინერო და საავიაციო რაზმები, აგრეთვე დამხმარე რაზმები კაწინაუკმო, — გზავნიან თავის ათასეულებს, ესკადრონებს თუ გუნდებს თვითონ კი რჩებიან როგორც სათადარიგო ნაწილები. პარკები და საველე დაწესებულებანი წარმოიშვებიან მობილიზაციის გამოცხადების დროს.

არმიების გალაშქრებისათანავე სდგება უდიდესი და მნიშვნელოვანი საკითხი, — მათი გამოკვება და მიწოდება ყოველივე მასალისა, რაც ბრძოლის წარმოებისათვის აუცილებლივ საჭიროა ან და რასაც თვით ჯარის არსებობა მოითხოვს. ეს საკითხი მშვიდობიან დროს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც ჯარი ერთ ადგილზე იმყოფება. ომის დროს კი ჯარი მოძრაობს და უმეტეს შემთხვევაში ისეთ ოლქებში, სადაც უკვე ნათლად ემჩნევა ომის კვალი: ყველაფერი შეჭმული, დამწვარი, გაოხრებული.

მაშასადამე საჭიროა მასალების დაგროვება ერთ ადგილას — ღრმა ზურგში, და შემდეგ კი მისი მიზიდვა ერთეულებთან ახლოს. წინად ამ საკითხს სჭირდენ უძრავ საწყობების მოწყობით გათვალისწინებულ მოძრაობის ხაზზე; შემდეგ უძრავი საწყობები შეცვლილ იქმნენ მოძრავი საწყობებით; დღეს კი მიღებულია ყოველდღიური მომარაგების სისტემა, რის საშუალებასაც იძლევა რკინისგზები, — გრძელ მანძილზე დიდი მასალის გადატანა ფრონტის უახლოეს სადგურამდე (მომარაგების სადგური).

სამხედრო მოქმედებას დაშორებულ სივრცეში ორგანიზაცია თითქმის იგივეა რაც მშვიდობიან დროს. სამხედრო მინისტრი ისევ რჩება აქ უზენაეს უფროსად და მას ექვემდებარება ყველა ამ სივრცეში მყოფი ნაწილი. ეს ნაწილები განუწყვეტლივ ვარჯიშობენ და დრო-გამოშვებით ავსებენ მომქმედი ერთეულის რიგებს. ყველა ეს მოთხოვნილება, რომელიც ჯარს წარდგენილი აქვს მშვიდობიან დროს ე. ი. გაწვრთნა, მობილიზაცია და ადმინისტრაცია, — არის უცვლელი, მაგრამ უფრო ინტენსიური. ცხადია, ნაწილების რაოდენობა მეტად გამრავლებულია.

როგორცა ვსთქვით, სამხედრო მინისტრი დაუყონებლივ უგზავნა მთავარსარდალს ყველა იმ მასალას, რაც კი ესაჭიროება ოპერაციის წარმოების დროს.

რამდენად მშვიდობიან დროს დამხმარე დარგები არიან მცირე რიცხოვანი, იმდენად ომის დროს მათი რიცხვი მრავლდება; თავის შემადგენლობით, მომქმედ ერთეულებთან შედარებით, არის კიდევც გადაამეტებული.

დაახლოებით ითქმის, რომ ერთ მეტრძოლ მხედარზე ხვდეთა ერთი ზურგის მომწყობი მხედარი საეტაპო სავრცეში, და ერთი კიდევ სამხედრო მოქმედებას დაშორებულ სივრცეში, რომელიც ვარჯიშობს ან მუშაობს ფრონტისათვის.

სამხედრო ორგანიზაცია ითვლება სრულ საიდუმლოებად და ამის გამო უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციაზე შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ ვიწრო წარმოდგენა.

#### 10. მშვიდობიანი დროის ორგანიზაციის დებულებანი

თუ ამ საკითხს მივუდგებით ერთი მხრივ, მაგალითად ვაწვრთნის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ მშვიდობიანი დროის შეიარაღებული ძალები დაყოფილი არიან ტაქტიკურ ერთეულებად; მეორე მხრივ კი ე.ი. მობილიზაციის მოწყობის მიხედვით, საჭიროა მთელი სახელმწიფოს დაყოფა ტერიტორიალურ ერთეულებად.

ეს ორნაირი დაყოფა — ტაქტიკური და ტერიტორიალური — მიღებულია ყველა ქვეყანაში და მხოლოდ მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში ემჩნევა განსხვავება. საერთოდ მიღებულია ორი სისტემა; —

1). ტაქტიკური და ტერიტორიალური ერთეულები არიან ურთიერთ შორის დამოუკიდებელი;

2). ტერიტორიალური ერთეულები წარმოშობენ მობილიზაციის დროს ტაქტიკურ ერთეულებს. მაშასადანე, ამ სისტემის ძალით ტაქ-

ტიკური ერთეულები არ არსებობენ მშვიდობიან დროს და მხოლოდ მობილიზაციის ხანაში შესდგებიან.

პირველი სისტემა მიღებულია ინგლისში, რუსეთში, გერმანიაში და რუმინეთში. — მეორე კი იტალიაში, ისპანიაში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში და ყველა პატარა სახელმწიფოში, სადაც დივიზიები შეადგენენ ერთ და იმავე დროს ტერიტორიალურ ოლქებს.

განსხვავება ამ ორ სისტემათა შორის ისაა, რომ პირველი სისტემის ძალით ჯარის გაწვრთნა და პერსონალური ორგანიზაციის საკითხის წარმოება ეკუთვნის ერთ ორგანოს, ხოლო მობილიზაციის და ადმინისტრაციის საკითხი კი სხვა ორგანოებს.

მეორე სისტემის ძალით, როგორც გაწვრთნას ისე მობილიზაციის საკითხს განაგებს ტერიტორიალური ორგანო.

პირველ სისტემაში. — დივიზიები როგორც დიდი ერთეულები, ექვემდებარებიან სამხედრო მინისტრს ან უშუალოდ ან კიდევ კორპუსის უფროსების საშუალებით. ამ შემთხვევაში კორპუსის უფროსები არიან დამოუკიდებელი ტერიტორიალურ ოლქების უფროსებისაგან.

მეორე სისტემის ძალით უფროსობა ეკუთვნის ტერიტორიალურ ორგანოებს; დივიზიის შემადგენლობა ამ შემთხვევაში არის ცვალებადი.

პირველ სისტემას აქვს ის დადებითი მხარე, რომ უფროსები განთავისუფლებული არიან მობილიზაციისა და მომარაგების საკითხიდან, რაც აძლევს მათ საშუალებას უფრო ინტენსიურად გაუძღვენ გაწვრთნის საქმეს.

მეორე სისტემა ერთის მხრივ გვაძლევს საშუალებას ადვილად ვაწარმოოთ გაწვრთნისა და ადმინისტრაციის დებულებათა კოორდინაცია, ხოლო მეორეს მხრივ, უფროსების ჩაბმით ადმინისტრაციის მუშაობაში, ზარალობს თვით ჯარის გაწვრთნა.

პირველი სისტემა მოითხოვს მშვიდობიან დროს საშუალო უფროსის (კორპუსის) დანიშვნას და ერთ დიდ ჯგუფში ყველა იმ ნაწილების შეგროვებას, რომლებიც არ შედიან დივიზიების შემადგენლო

ბაში (საარტილერიო, საინჟინერო, საავიაციო ბრიგადები). მეორე სისტემა კი მოითხოვს დივიზიის შტაბებისა და აპარატების გაფართოებას, რადგანაც დივიზიების შემადგენლობას ემატებიან დამზმარე ნაწილები (სამსახური) და დივიზიის უფროსი კიდევ განაგებს თავისი ერთეულის ადმინისტრაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი სისტემა მიღებულია: —

ა). რუმინიაში, სადაც სახ. ტერ. დაყოფ. 7 ოლქად, ჯარში კი 7 კორპ.

ბ). გერმანიაში 7 ოლქი 7 დივიზია

ბ). რუსეთში 9 ოლქი 21 დივიზია და 3 ცხენ. კორპ.

კორპუსების ანუ დივიზიების უფროსები პირდაპირ ექვემდებარებიან სამხედრო მინისტრს და განაგებენ მხოლოდ ჯარის გაწვრთნას. ოლქის უფროსები (კომენდანტები) კი აწარმოებენ ადმინისტრაციისა და მობილიზაციის მოწყობას ყველა იმ ერთეულისა, რომლებიც იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე. ოლქის უფროსებიც აგრეთვე უშუალოდ ექვემდებარებიან სამხედრო მინისტრს.

მეორე სისტემა მიღებულია იტალიაში და ისპანიაში, სადაც სახელმწიფო გაყოფილია 10 ან 8 საკორპუსო ოლქად; ოლქები კიდევ შესდგებიან 30 ან 16 დივიზიის რაიონიდან. ამ შემთხვევაში დივიზია არ წარმოადგენს ტაქტიკურ ერთეულს, რადგან მის შემადგენლობაში შედის ყველა ერთეული, რომელიც იმყოფება ამ რაიონში. ამიტომაც ერთი დივიზია შესდგება მხოლოდ ქვეითი და საარტილერიო ჯარისაგან, სხვა დივიზიებში, კიდევ ამ დარგების გარდა, შედიან ცხენოსანი და საინჟინერო ნაწილები, საავიაციო თუ სანახი, სამომარაგებელი დაწესებულება თუ არსენალი.

## არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება

### თანამედროვე ბრძოლაში

7.

#### თვალდევნა (ობსერვაცია)

არტილერიის ცეცხლის აუცილებელი პირობა არის ცეცხლის ნაყოფიერება, რომლის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ თვალდევნის საშუალებით. მაშასადამე, თვალდევნის მთავარი დანიშნულება არტილერიაში, გარდა საერთო მნიშვნელობის ცნობების შეკრებისა, არის წარმოებული ცეცხლის ნაყოფიერების თვალდევნა.

მიუხედავად მრავალ ტექნიკურ მიღწევებისა არტილერიის ცეცხლის მომზადებაში. ცეცხლის ნაყოფიერება მაინც მუდამ დამოკიდებული რჩება კარგ თვალდევნისაგან, და ამის გამო ყოველმა არტილერიკოსმა არამც თუ მხოლოდ უნდა იცოდეს თუ რას ესროლოს, არამედ თავისი სროლის შედეგსაც უნდა ხედავდეს.

მეტად დიდი მნიშვნელობა არტილერიის ცეცხლის შესაფერის თვალდევნას ეძლევა მოძრავ ომში, სადაც თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა მიღწევების გამოყენებას არ ექნება. უმეტეს შემთხვევაში სათანადო პირობები, და ყოველგვარი ცეცხლი თითქმის მხოლოდ მარტივ თვალდევნის საშუალებით უნდა იქმნეს წარმოებული.

ვინაიდან არტილერია არასოდეს არ მოქმედობს დამოუკიდებლად არამედ მხოლოდ სხვა ნაწილების სასარგებლოდ, ამიტომაც ყოველი იმ უფროსის მოვალეობაა, რომელიც განაგებს არტილერიით, იზრუნოს ამ თვალდევნის სათანადო უზრუნველყოფისათვის, და მხოლოდ ასეთ

შემთხვევაში მას ექნება სრული უკლება მოსთხოვოს არტილერიის ნაყოფიერი მოქმედება.

არტილერიის თვალდევნის დანიშნულება უმთავრესად გამოიხატება — ბრძოლის ველის თვალდევნა-კვლევაში დაუყონებლივ გამო-საყენებლად ყოველ შემჩნეულისა (რასაკვირველია ყურადსაღებ) სრო-ლისათვის.

— მისროლის და წარმოებულ ცეცხლის კონტროლში.

მოპირდაპირის და ყოველ მის ახალ ცვლილებათა შესახებ ცნო-ბების შეკრების შეძლებისათვის თვალდევნა უნდა იყოს მუდმივი და განუწყვეტელი. ამასთანავე ყოველ შეძენილ ცნობას ექნება თვისი ღი-რებულება მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის დროზე გადაცემულ იქნე-ბა სადაც ჯერ არს და სათანადოდ გამოყენებული.

მისროლისა და ნაყოფიერ ცეცხლის კონტროლის სიზუსტით წარ-მოებისათვის მხოლოდ საიმედო, კარგად მოწყობილ თვალდევნას შე-უძლია უზრუნველყოს სასურველი შედეგი.

თვალდევნათა შორის განვარჩევთ შემდეგ, გვარებს.

არედან (დედამიწიდან) თვალდევნა,

ჰაერიდან თვალდევნა,

და განსაკუთრებული თვალდევნა.

**არედან თვალდევნა** გამოიხატება — თვალდევნაში სათვალყურო პუნქტებიდან, რომელნიც მოთავსებული არიან არე-მარეზე. ამ მიზნი-სათვის უნდა გამოყენებულ იქმნას ყოველი ისეთი პუნქტი, რომელიც თავისი მდებარეობით (სიმაღლით) ბატონობს მიდამოზე და ამრიგად კარგი მხედველობის საშუალებას იძლევა, ან კიდევ ადგილები, რომელ-ნიც იმყოფებიან ახლოს პირველ ხაზთან და მოპირდაპირის სფეროში მხედველობას იძლევიან. ამგვარად შეიძლება გამოყენებულ იქმნან მთა-გორაკები, ხეები, შენობები და სხვა.

ასეთი სათვალყურო პუნქტების საშუალებით, ვინაიდან ისინი იძ-ლევიან აგრეთვე საშუალებას გამოყენებულ იქმნას ყოველგვარი არ-სებული ოპტიკური და თვალდევნის იარაღი, შეიძლება ხუცტა ცნობე-

ბის შეკრება მოპირდაპირის მიზნების შესახებ და თანაც მისროლის სიერად წარმოება და ცეცხლის ნაყოფიერების კონტროლი.

უარყოფით მხარეს წარმოადგენს მხოლოდ მხედველობის შეზღუდული სივრცე, რისი თავიდან აცილება შესაძლებელი ხდება მრავალ სათვალყურო პუნქტების გამორჩევით მიდამოზე, მხოლოდ ეს გარემოება მოითხოვს ხალხისა (მეთვალყურეთა) და კავშირის საშუალებათა დიდ ხარჯს.

სათვალყურო პუნქტების არჩევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული კავშირის ადვილად მოწყობის შესაძლებლობა, როგორც ბატარიებთან და არტილერიის უფროსებთან ისე იმ ნაწილების უფროსებთან, რომელთა სასარგებლოდ მოქმედებს არტილერია.

ყოველი გარკვეული უბნის სათვალყურო კრებული უნდა იძლეოდეს მთელი ბრძოლის ველის მხედველობის საშვალებას და თუ შესაძლებელი იქნება მტრის ზურგისასაც. ეს პუნქტები მოთავსებული უნდა იყვნენ, როგორც სიგანეზე ისე სიღრმეზე, რათა ჩვენი პირველი ხაზის მოულოდნელმა და დროებითმა ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ყველა სათვალყურო პუნქტის დაკარგვა. ამისათვის არ არის აუცილებელი ყოველ პუნქტზე მეთვალყურეთა მოთავსება, არამედ საკმარისია ისიც, თუ სათანადოთ იქნება ეს პუნქტები დაზვერილი და მათი მდებარეობა გამორკვეული, აგრეთვე, თუ კი შესაძლებელი იქნება, სასურველია კავშირის საშვალებანი უკვე გამზადებული და მოწყობილი იყოს იქ, რომ საჭიროებისას, დროს დაუკარგავად, შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება.

ყოველი არტილერიის უფროსს, დაწყებული ბატარეის უფროსისაგან ზემოდ, უნდა გააჩნდეს თავისი სათვალყურო პუნქტი. რამდენათაც უფრო მაღალი თანამდებობისაა უფროსი, მით უფრო ფართოა მისი მოქმედების ფარგალი და მით უფრო ფართო უნდა იყოს მისი მხედველობის სივრცე. ამის გამოც, მათი სათვალყურო პუნქტები უნდა გაცილებით მაღალ ადგილებზე იმყოფებოდნენ და ამასთანავე გაცილებით უკან, ვინაიდან მათთვის მეტად საინტერესოა არა დაწვრილებითი

მსვლელობა ბრძოლისა, არამედ საერთო მისი თვალდევნა.

არტილერიის მაღალი უფროსები თავის ბრძანებებსა და გადაწყვეტილებებს ქვემდებარე ერთეულებისათვის იძლევიან არა საკუთარი თვალდევნის მიხედვით, არამედ მიღებულ ცნობებზე და მოხსენებებზე დამყარებით. მხოლოდ დივიზიონის უფროსს აუცილებლად უნდა ქონდეს ისეთი პუნქტი, რომელიც დივიზიონის ცეცხლის კონტროლსა და ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს. ჩვეულებისამებრ მისი პუნქტი არის საერთო ერთ-ერთ ბატარეის უფროსთან და ამასთანავე უნდა იყოს საბრთო ახლო მდებარე ქვეითი ჯარის იმ უფროსის პუნქტთან, რომლის სასარგებლოდაც იგი მოქმედებს.

- საზოგადოთ სათვალყურო პუნქტები შემდეგი არიან —
- ბატარეის უფროსებისა,
  - დივიზიონის უფროსებისა,
  - და არტილერიის მაღალ უფროსებისა.

ლ . მ .

(ამ თავის დასასრულზე შემდეგ №-ში)

დაისტამბა და იყიდება (ფასი 15 ფრანკი)

ბ-ნ ჯურაბ ავალიშვილის

მ მ ფ ხ ი ს ტ შ ა მ ს ა ნ ი - ს ს ა კ ი თ ხ მ ბ ი

შ ვ ი ღ მ ნ ა თ ო ბ თ ა ლ ე ქ ს ი

შ ო თ ა მ ა ნ ი ქ ე ვ ე ლ ი

გ ვ ე ლ ი ღ ა მ თ ვ ა რ ე

მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა

„მხედარი“-ს რედაქციის მისამართი : —

Mkedari. 47. Rue Chardon Lagache, Paris, xv;